საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდ-ვუმი სიფცვაა, ფაფიოებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 4 ოქტომბერი. 2016 წ. №184 (8075), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილი: გამოვიდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები და თქვან, რომ რცხვენიათ „რუსთავი-2-ის დაცვის გამო!

საქართველოს ექს-პრემიერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ნიკა გვარამიასა და საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის ფარული საუბარი ცხადყოფს, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას, ზოგადად, სასამართლოს მიმართ.

როგორც ივანიშვილმა მცხეთა-მთიანეთში მედიასთან შეხვედრაზე აღნიშნა, ამაზრზენია იმის მოსმენა, თუ როგორი „გონორით“ ესაუბრება გვარამია ახვლედიანს.

ბიძინა ივანიშვილმა ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელიც გაიხსენა, რომლებიც „რუსთავი-2“-ის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით ძალიან მძაფრ განცხადებებს აკეთებდნენ.

„როგორ იცავდნენ „რუსთავი-2“-ს როგორც თავისუფალი სიტყვის ეტალონს, ჭეშმარიტების ბოლო საფეხურს. უნდა მოხერხდეს ქვეყანაში, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. არ რცხვენიათ დღეს, როდესაც ნახეს, თუ როგორ დაამახინჯა „რუსთავი-2“-მა ჩემი სიტყვები. ეს ხომ ძალიან მარტივი გასაგებია დღეს, როგორ ცრუობენ. გამოვიდნენ, გააკრიტიკონ, ერთხელ მაინც თქვან, რომ რცხვენიათ, რომ ამ ტელევიზიას იცავდნენ“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

„ნაციონალები“ ვეღარ იბლატავებენ... იქნებიან ცუციკებივით!“

„ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, რასაც იმსახურებს, ის დაიჭერს იმ ადგილს, ეყოლება 5-10 თუ 15 ადამიანი! არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, **გარწმუნებთ, რომ ეს ბობოქრობა და ანტაგონიზმი ჩაქრება. მათ აღარ აქვთ ძირითადი რესურსები“,** — აცხადებს ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი „ნაციონალურ მოძრაობაზე“.

„მე საზოგადოებას ვპირდები, რომ საჩუქარს ახლა მიიღებენ, რასაც ელოდნენ 4 წლის მანძილზე, ეს რომ მეთქვა თავშივე, რომ ამას ოთხი წელი დაჭირდებოდა, ამას ვერ გამიგებდნენ. რასაც ელოდნენ 2012 წელს, მიიღებენ ახლა, „ნაცებს“ ექნებათ თავისი ადგილი და ვეღარ იბლატავებენ, ცუციკებივით იქნებიან!“

თუ რატომ ვიჭერდით თანამდებობის პირებს, ჩვენი უცხოელი პარტნიორები ვერ იგებდნენ

— მე ზუსტად ასეთი წარმომედგინა ოთხი წელიწადი, ან ოდნავ უარესი ან ოდნავ უკეთესი, —ამბობს ივანიშვილი.

მისი თქმით, ის პირველად ამბობს ამას საჯაროდ, რომ საოცრება ვერ მოხდებოდა და „ნაციონალური მოძრაობა“ ხელწერას ვერ შეიცვლიდა, ეს თავშივე კარგად ჩანდა, საზოგადოება არის შეშფოთებული და უკმაყოფილო.

— მათ ჰქონდათ ფინანსური რესურსი და წინა პარლამენტში ჰყავდათ 46 დეპუტატი. მათი პრეზიდენტი კიდევ იმ ოთხი წელიწადიდან ერთს ის მართავდა. კუბლაშვილი კიდევ 2 წელიწადი იყო და სასამართლოზე ეგენი ძალადობდნენ. ყველაზე დიდი რესურსი მათ რაც ჰქონდათ, ეს მხარდაჭერა გახლდათ ევროპიდან და აშშ-დან, იმიტომ რომ მათ ჰქონდათ ძალიან განსხვავებული ინფორმაცია, კარგად გაყიდული, რომ საქართველო არის დემოკრატიის შუქურა. ჩემთვის ყველაზე მძიმე გადასატანი იყო სწორედ ჩვენი საერთაშორისო თანამეგობრები, ვერ იგებდნენ, როგორ შეიძლებოდა, რომ ასეთი დემოკრატიის შუქურა ქვეყანაში ამდენი თანამდებობის პირი დასჯილიყო!

დღეს ნაციონალებს საზღვარგარეთიდან მხარდაჭერა აღარ აქვთ, — ამბობს ივანიშვილი.

იხ. 2 გვ.

„ოცნების“ ახალი სახე

მიმართვა გურულებს!

საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ პრეზიდიუმი მოგმართავთ თხოვნით გურიის მოსახლეობას, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის „სტალინის“ საზოგადოების წევრებს და ყველა ჭეშმარიტ სტალინელს, მხარი დავუჭიროთ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ერთ-ერთ გამორჩეულ და საუკეთესო მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს **ნინო წილოსანს.**

გრიშა ონიანი,
საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ქ. თბილისი. 3 ოქტომბერი 2016 წ.

ბედი ლევილის მამულისა ③

არ გვინდა სახელმწიფოს ხელშემყურე ვიყოთ!

ყურძნის ფასი მთავრობამ კი არა, ბაზარმა უნდა განსაზღვროს ④

სკოლამდელ განათლებაში ერთი დიდი სიცარიელე?! ⑥

განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ალექსანდრე ჯეჯელავას

8 ოქტომბერი

ვისაც ქათამი (მამალი) დაუკლავს, ეცოდინება, როგორ საცოდავად ფართხალებს თავწაგლეჯილი; სასიკვდილოდ განწირულს დასამშვიდებლად დამკვლელი წრეს შემოუხაზავს და ზედ დანას დაადებს. ისიც ფართხალს წყვეტს.

ზუსტად ასევე სასიკვდილოდ განწირულნი ფართხალებენ დღეს საღად მოაზროვნე ამომრჩეველთაგან თავწაგლეჯილი ნაციონალები, თითქმის ათწლიანი სახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის გაბრაზებულ მოქალაქეთა დახშულ წრეში მოქცეულნი.

8 ოქტომბერი მავნე ნაციონალთა უკანასკნელი გაფართხალების დღედ უნდა იქცეს!

(პირველი გვერდიდან)

ნაციონალურ მოძრაობას სურს ამ ჟორებით შეურაცხყოფა მომაყენოს

საქართველოს ექს-პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ნაციონალური მოძრაობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის მიხედვით, არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხების შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი ქვეყანას დატოვებს.

— ჩემზე ჭორებს ავრცელებენ, გარბისო. თვითონ რომ გაქცეულები არიან... ამ სიცრუით შეურაცხყოფა უნდათ რომ მომაყენონ და თანაც კარგი რამ თქვეს: ნუ გეშინიაო, ჩვენ ვაჩვენებთო, როგორ მოვექცევით ოპოზიციასო, როგორ მოვეფერებით ოპოზიციასო. მათ უკვე აჩვენეს, ხელისუფლებაში ყოფნის დროს, როგორ ექცეოდნენ ოპოზიციას. კარგად აჩვენეს. ვითომ ახალი გუნდია ახლა და ახლებურად მოდიან...

„არჩევნებს ზუგდიდში ვერც ის ქალბატონი მოიგებს“

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებში მეორე ადგილზე გასვლის შანსიც არ აქვს და პარლამენტში მხოლოდ 10 დეპუტატს შეიყვანს. მისივე თქმით, ზუგდიდში ვერ მოიგებს ვერც სანდრა რულოვსი:

— „ნაციონალური მოძრაობა“ პარტიული სიიდან საშუალოდ 10 დეპუტატს გაიყვანს, მაჟორიტარს კი, ვერსად ვერ მოიგებს. მათ შორის, არჩევნებს ზუგდიდში ვერც ის ქალბატონი მოიგებს და ეს ორჯერ-ორი ოთხია...

ვნახოთ, შეიძლება, თავისი სისულელეები აჩვენონ და მარგინალიზაციას გააგრძელებენ, არ გამოვრიცხავთ, რომ პარლამენტში საერთოდ ვერ მოხვდნენ. კარგი იქნებოდა, პარლამენტში ხუთი კაცით იყვნენ წარმოდგენილი, ხალხს რომ არ დაავიწყდეს“, განაცხადა ივანიშვილმა.

„ხელისუფლებაში არ მოსულა და ისე გახდა მილიონერი. არ არის ტიპური ყვარყვარე?“

ბიძინა ივანიშვილმა „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი მწვავედ გააკრიტიკა და კვლავ „ყვარყვარე“ უწოდა. ივანიშვილის თქმით, ნათელაშვილი ერთადერთია ქართულ პოლიტიკაში, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის გარეშე გამდიდრდა.

„ერთი უკრაინელი ყვარყვარე გვყავს და მეორე ქართველი — ნათელაშვილი. არის შანსი, რომ ნათელაშვილმა ბარიერი გადალახოს.

მინდა, მის მხარდამჭერებს მივმართო, ნახეთ მთელი მისი ისტორია. ჯაშუშებიდანაც, საქართველოს მოღალატეებისგანაც ფულს იღებდა, კადრები თავად მერაბიშვილმა გაუვრცელა.

ერთადერთი კაცია საქართველოს პოლიტიკაში, რომელიც ხელისუფლებაში არ მოსულა და ისე გახდა მილიონერი. არ არის ტიპური ყვარყვარე? სხვა რა გინდა რომ უწოდო.

ბიძინა ივანიშვილის სიტყვები გაყალბდა!

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განცხადებას გაავრცელა, „გვინდა გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია იმ სიცრუესთან და სიყალბესთან დაკავშირებით, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში ვრცელდებოდა „რუსთავი2“-ის მეშვეობით პარტიულ რეიტინგებთან დაკავშირებით. პირველ რიგში გავიხსენებთ იმას, რომ გაყალბდა ბიძინა ივანიშვილის სიტყვები, ისე იყო წარმოჩენილი მისი სიტყვები, რომ თითქოს ის მიიჩნევდა, — „ნაციონალური მოძრაობას“ ჰქონდა 30%-იანი რეიტინგი, სინამდვილეში მთლიანად კონტექსტიდან იყო მოწყვეტილი ეს ყველაფერი. საუბარი იყო იმაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი, მხარდაჭერა შეადგენს 150 ათას, 200 ათას კაცს, რაც პროცენტებში რომ გადავიყვანოთ არის ბევრად ნაკლები, ვიდრე 30%. 30%-ი სიტყვები იყო ნათქვამი საერთოდ სხვა კონტექსტში, ეს ყველაფერი ძალიან კარგად ჩანდა ვიდეო ჩანაწერიდან. თუმცა კიდევ ერთხელ ყალბი ფორმით მიეწოდა ინფორმაცია ჩვენს ტელე მაყურებელს. გარდა ამისა, იმავე დღეს, მომდევნო დღეებში „რუსთავი2“-ის ჟურნალისტები, სამწუხაროდ, ცდილობდნენ ჩვენი წარმომადგენლების, პოლიტიკოსების, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების შეცდომაში შეყვანას. ისინი სხვადასხვა ფორმით ცდილობდნენ ე.წ. ჩამჭრელი კითხვების დასმას და იმის დადასტურებას ჩვენი მხრიდან, რომ 30 %-ი რეიტინგი

ნაც.მოძრაობის სინამდვილეს შეესაბამება, თუმცა მიზანს რეალურად ვერ მიაღწიეს იმ ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ 30 %-ი მაჩვენებელი მთლიანად აცდენილი რეალობას. კიდევ ერთხელ, ნაც.მოძრაობის რეიტინგი არის ბევრად ნაკლები, რამდენჯერმე ნაკლები, ვიდრე 30%.

ატონი ბიძინა ივანიშვილის სიტყვების გაყალბება საბოლოო ჯამში ნიკა გვარამიას დასჭირდა გაყალბებული კვლევის შედეგების შესაფუთად. ეს იყო მთავარი მიზანი. გაყალბებულია აბსოლუტურად ის მაჩვენებლები, რომლებიც შემოგვთავაზეს ჩვენ „რუსთავიზ-2“-ის მეშვეობით. ეს კვლევა მოგეხსენებათ ჩაატარა ნაც.მოძრაობასთან პირდაპირ ასოცირებულმა ადგილობრივმა კვლევითმა ორგანიზაციებმა. ჩატარდა „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის პოლიტიკური აპილაციის შესახებ ყველას ძალიან კარგად მოგვეხსენება. ჩვენ ზოგადად მიჩვეულები ვართ ნიკა გვარამიას მხრიდან, „რუსთავი-2“-ის მხრიდან სიყალბეს და სიცრუეს. აქედან გამომდინარე, ამ ყველაფერზე არ გავამახვილებდით ყურადღებას ეს ყველაფერი რომ არ იყოს იმ ჩაფიქრებული რევოლუციური სცენარის შემადგენელი ნაწილად! ჩვენ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ამ რევოლუციურ სცენარს საქართველოში განხორციელება არ უწერია. ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ „რუსთავი-2“-ს ბოდიში მოუხადონ ტელემაყურებელს სიყალბის ტირაჟირებისთვის!

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება ლევან ბოძაშვილს დაეკისრა

ლევან ბოძაშვილი 2015 წლის ივნისიდან ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ მუშაობს.

ლევან ბოძაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა სამართლებრივ და დიპლომატიურ სფეროებში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძოდ, ევროკავშირში სამართლებრივ მრჩეველად, სადაც მიღებული აქვს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის საგარეო ურთიერთობებში ჰავიერ სოლანას უმაღლესი შეფასების ჯილდო და წერილობითი მადლობა. ასევე მუშაობდა, გაეროსა და ეუთოში, ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სტრასბურგში. იყო ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის წევრი 2004-2008 წლებში.

2005-2009 წლებში იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ევროკავშირისა და ორმხრივი ევროპული მიმართულების კოორდინაციის სფეროში, ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი, მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე და საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ავსტრიასა და ვენაში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

„ოქრუაშვილი გამოცდილი ავანტიურისტია“

ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებს, რომ გორში ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების გააქტიურებაში კახი კალაძის ცოლისძმაა დამნაშავე, ნუკრი ქანთარია ეხმაურება და თავდაცვის ყოფილ მინისტრს „ავანტიურისტს“ უწოდებს:

„ოქრუაშვილს არ ვიცი, რა ელანდება ამ შემთხვევაში. ის გამოცდილი ავანტიურისტია და არ არის გამორიცხული, რომ ეს არის გათვლა მისი მხრიდან. ვის რაში უნდა აწყობდეს ახლა ოქრუაშვილზე იარაღიანი ხალხის მისევა? ერთადერთი ჩვენი მთავარი ამოცანაა, მაქსიმალურად მშვიდ გარემოში წავიდეს არჩევნები და როგორ ფიქრობთ, კახი კალაძე და ნებისმიერი ჩვენგანი ავდგებით და ვინმეს მიზანში ამოვიღებთ, რომ იქ სროლა და ბახაბუხი იყოს? ეს არის მტკნარი სიცრუე“, — განაცხადა ქანთარიამ.

ნუკრი ქანთარია: „აუცილებელია, რომ ასეთ ხალხს უსმენდნენ“

ნუკრი ქანთარია საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანისა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას სავარაუდო საუბრის აუდიოჩანაწერს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ჩანაწერი თავად ნიკა გვარამიამ გაავრცელა. მისივე თქმით, აუცილებელია „ასეთ ხალხს უსმენდნენ“:

„მე მაინც მგონია, რომ ეს მისი გავრცელებულია. არაფერი ისეთი იქ, გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეურაცხყოფისა, არ არის. ასეთ საუბრებს შეიძლება კიდევ ჰქონდეს ადგილი. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ და ვთქვათ, რომ გვარამიას აწყობს, დროდადრო რაღაც ჩანაწერი გამოვიდეს, იყოს წინა პლანზე. ალბათ, მას აქვს თავისი გეგმა, შეთანხმებული ოდესასთან თუ სხვასთან და არც მალავს, რომ უნდა, რაც შეიძლება მეტი მავნებლობა მოუტანოს ხელისუფლებას. გამორიცხული კი არა, აუცილებელია, რომ ასეთ ხალხს უსმენდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნდა გამოქვეყნდეს ეს ჩანაწერები ან ეს ჩანაწერი თვითონ რისი დამადასტურებელი და რისი მაქნისია?! - არაფრის. სუს-ში ასეთი მოკლე ჭკუის ხალხი არ ზის, რომ ასეთი ჩანაწერები შეაგროვოს და მითუმეტეს, გამოაქვეყნოს. ეს ისევ გვარამიას ინიციატივაა, თუმცა ამას სჭირდება დამტკიცება, თუ სამართალდამცველების მხრიდან“, — განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

ნიკა გვარამია: ჩანაწერი გაკეთებულია ჩემს მიერ, მაგრამ...

ეს ჩანაწერი ერთი წლის წინათ ჩემს მიერ არის გაკეთებული, — განაცხადა ნიკა გვარამიამ ცოტა ხნის წინათ გამართულ ბრიფინგზე და აღნიშნა, რომ მისი და საქალაქოს სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის ფარული ჩანაწერის შესახებ, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა.

მისივე თქმით, ეს არ არის ფარული მიყურადება, მაგრამ გვარამიას განცხადებით, ესაა კიბერდანაშაული, რადგან ჩანაწერი ინახებოდა მის კომპიუტერში და გაურკვეველია, როგორ აიტვირთა ის ინტერნეტში.

ეჰ, შალვა, შალვა, გვარამიამ ჩაგიშვა?

შალვა რამიშვილი დიდი ხნის განმავლობაში გვთავაზობდა საკუთარ მომსახურებას „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, — ამ განცხადებას რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია აკეთებს. მისი თქმით, შალვა რამიშვილმა შუამავლად ჟურნალისტი ელისო კილაძეც მიაგზავნა, თუმცა ტელევიზიისგან უარი მიიღო. ეს განცხადება გვარამიამ რამიშვილის დღევანდელი ბრიფინგის საპასუხოდ გააკეთა, სადაც რამიშვილმა და „თავისუფალი ზონის“ ყოფილმა წევრმა ბესო კალაძემ „რუსთავი-2“ ეგზიტპოლების შედეგების გაყალბებაში დაადანაშაულეს.

რაც შეეხება GFK-ს ჩატარებულ ეგზიტპოლს, გვარამია აცხადებს, რომ კვლევით კომპანიასთან მათ არანაირი პირდაპირი კომუნიკაცია არ აქვთ, არ იციან ვინ ატარებს საველე კვლევებს და შედეგებს ტელეკომპანიაში წინა საღამოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით იღებენ.

ნიკა რურუას საარჩევნო შტაბის უფროსი იარაღით დაიჯგიმებოდა!

მთაწმინდაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის ნიკა რურუას შტაბის უფროსი დავით ჯაფარიძე დაკავებულია.

„ისტერიკაში ჩავარდნილმა ივანიშვილმა ჩემი შტაბის უფროსი დავით ჯაფარიძე იარაღის ჩადებით დააკავებინა წუხელ გვიან ღამით. ამ უკანონობას ორი მიზანი აქვს: დააშინონ ჩვენი მომხრეები და დეზორგანიზება შეიტანონ ჩვენს მუშაობაში. ცხადია, რომ არც ერთ ამ მიზანს განხორციელება არ უწერია. აუცილებლად ვიმარჯვებთ ხუთ დღეში სიმშვიდით, სიმტკიცით და ერთობით“, — წერს ნიკა რურუა სოციალურ ქსელში.

შსს-ს ინფორმაციით, უწყების ცნობით, ჯაფარიძე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების მუხლით არის დაკავებული.

ბედი ლევილის მამულისა

ძნელია ქართველი ერის თანამედროვე ყოფაში უფრო მნიშვნელოვანი, ისტორიული და სამომავლო სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ასევე შემოქმედებითი პერსპექტივების განხორციელებისთვის უფრო შთამბეჭდავი მოვლენა, ვიდრე სექტემბრის მიწურულს საქართველოს მხარისთვის საფრანგეთში, დაბა ლევილში ცნობილი მამულის გადმოცემა.

საქართველოსა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ამ აქტის დამადასტურებელ დოკუმენტს 23 სექტემბერს მოაწერეს ხელი, 28-ში კი ჩვენი ოფიციალური წარმომადგენლები ამის თაობაზე ერთგვარი ანგარიშით მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგნენ.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ როინ მეტრეველს.

– ბატონო როინ, თავდაპირველად ჩვენს მკითხველს იქნებ კიდევ ერთხელ შევახსენოთ ლევილის მამულის ისტორია, საფრანგეთში ქართული ემიგრაციისთვის მისი მნიშვნელობა.

– ლამაზი ფრანგული ლევილი დაბა (**Leville sur-orge**) პარიზიდან ოცდაათიოდე კილომეტრის მოშორებით სენისა და სუაზის დეპარტამენტში მდებარეობს. გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მისი სახელი მკვიდრად დაუკავშირდა ქართულ ემიგრაციას, სადაც 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობამ 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი შეიძინა და ემიგრანტთა ერთი ნაწილი, რომელთა შორის მრავალი გამოჩენილი პირი იყო, იქ დასახლდა. იმთავითვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ლევილის მამული, რომელიც, ფაქტობრივად, ქართული ემიგრაციის ცენტრად იქცა, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საკუთრება იყო. მისი საქართველოს სახელმწიფოსთვის გადმოცემასთან დაკავშირებით მუშაობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული მიმდინარეობდა, რომელიც განსაკუთრებით ბოლო ორი წლის მანძილზე გააქტიურდა. ამის იურიდიული საფუძველი 1928 წლის 30 აპრილს შედგენილი ანდერძი გახლდათ, რომელსაც ხელი მოაწერეს ნოე ჟორდანიამ, აკაკი ჩხენკელმა, ნოე რამიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, ევგენი გეგეჭკორმა, სამსონ ფირცხალავამ და კონსტანტინე კანდელაკმა. ამით დადასტურებული იყო ლევილის მამულის (საფრანგეთში მას შატო ლევილს უწოდებდნენ) საქართველოს რესპუბლიკისადმი საკუთრება და სამოქალაქო საზოგადოების, ეგრეთ წოდებული „ქართული კერისათვის“ მისი სამართავად გადაცემა. მეტად მნიშვნელოვანია, რომ 1958 წელს საზოგადოების კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება ლევილის მამულის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიისთვის გადაცემის თაობაზე. ამავე დროს, დადგენილებაში საქართველოს მხარის შესასრულებელი მთელი რიგი პირობა იყო დაყენებული.

– რამდენადაც ვიცი, ლევილის მამულის საქართველოსთვის გადაცემის ხანგრძლივი პროცედურის აქტიური მონაწილე თავადაც ბრძანდებოდით, ბატონო როინ, ასე არ არის?

– დიახ, ასეა. 1988 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა მოწვევა მივიღეთ, რის საფუძველზე აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გიორგიც ციციშვილი და მე, იმჟამად საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, მივლინებული ვიყავით საფრანგეთში. ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან მრავალრიცხოვან შეხვედრათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბატონ მამია ბერიშვილთან შეხვედრა, რომელიც ემიგრაციაში წასული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, რწმუნებით იყო აღჭურვილი. დეტალურად გავეცანით ლევილის მამულს, ვინახულეთ ქართველთა სასაფლაო, რომელსაც ბატონი მამიას მეუღლე, ქალბატონი ქრისტინე მეთვალყურეობდა. ჩვენ, არსებითად, სრული ინფორმაცია მივიღეთ 1958 წელს ნოტარიულად დამტკიცებული ანდერძის თაობაზე, მოლაპარაკებისას ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ უნივერსიტეტთან ერთად ლევილის მამულით მეცნიერებათა აკადემიაც ისარგებლებდა. ასევე საინტერესო შეხვედრა გვქონდა ქალბატონ ნინო ქურციკაშვილთან – „ბედი ქართლისას“ გამომცემლისა და რედაქტორის კალისტრატე სალიას მეუღლესთან.

ეს, ფაქტობრივად, საქართველოსთვის ლევილის მამულის დაბრუნების გრძელ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯები იყო.

– ეს გზა არამარტო გრძელი, არამედ რთულიც იყო და, ესოდენ სასიკეთო შედეგის მიღწევაში ბევრ ჩვენს პატივცემულ თანამემამულეს აქვს მონაწილეობა მიღებული.

– მართალი ბრძანდებით, 1993 წელს პარიზში საქართველოს კულტურის დღეები ჩატარდა, რომელშიც, ბუნებრივია, ქართველი საზოგადოების გარკვეული ჯგუფიც იღებდა მონაწილეობას, მათ შორის თავადაც გახლდით. მაშინ კვლავ დაისვა ლევილის მამულის საკითხი, საზოგადოება „ქართული კერის“ წევრებმა - ნოე ჟორდანიას ქალიშვილმა ქალბატონმა ნათელამ და აკაკი რამიშვილმა, საქართველოს დელეგაციის წევრები – იუსტიციის მაშინდელი მინისტრი კოტე კემულარია, სრულიად საქართველოს ყოველთა ქართველთა კონგრესის თავმჯდომარე, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გურამ მუჩაიძე და მე, იმხანად თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ლევილში შეხვედრაზე მიგვიწვიეს, რომლის დროს აზრთა ურთიერთგაცვლის შედეგად შეთანხმებულად მივიღეთ კომუნიკე, რომელშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ლევილის მამულის სამუდამო მფლობელი– შესაბამისად თბილისის უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიისადმი გადაცემის შესაძლებლობა გარკვეული პირობებით, რაც დოკუმენტში აისახა კიდეც.

კომუნიკე

ქ. პარიზი, მამული ლევილი, 07 ივლისი, 1993 წელი.

ჩვენ, ქვევით ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ როგორც ერთი მხარე, ლევილის მამულის უძრავი სამოქალაქო საზოგადოების „ქართული კერა“-ს წევრების სახელით ბატონი აკაკი რამიშვილი და ქალბატონი ნათელა ჟორდანია, მეორეს მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები, იუსტიციის მინისტრი, ბატონი კოტე კემულარია, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი, ბატონი როინ მეტრეველი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ბატონი გურამ მუჩაიძე, სრულიად საქართველოს კონგრესის პრეზიდენტი, ბატონი რეზო ჩხეიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის 7 წევრისა, ბატონების – ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ნოე რამიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ევგენი გეგეჭკორის, სამსონ ფირცხალავას და კონსტანტინე კანდელაკის ხელისმოწერით. 1928 წლის 30 აპრილს შედგენილი ანდერძის პირობებს, რომ ლევილის მამული არის ნაყიდი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ და ეკუთვნის საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას. 1958 წელს საზოგადოების კრებამ დაამტკიცა ერთხმად, რომ ლევილის მამული გადაეცემოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამასთან, უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი პირობები: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაცია; სრული დემოკრატიზაცია და ადამიანის უფლებების დაცვა. აგრეთვე, ლევილის მამული უნდა გამოცხადდეს საქართველოს ელჩის საზაფხულო რეზიდენციად. იმ პირობის უცილობელი დაცვით, რომ ლევილის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს ემიგრანტების, მათი ოჯახის წევრების უფლებები, მათი სიცოცხლის ბოლომდე იქნეს შენარჩუნებული. ეს პირობები გავრცელდა პარიზში მცხოვრებ ემიგრანტ ქართველებზე, რომელნიც სარგებლობენ ბინებით ლევილის მამულის ტერიტორიაზე. ლევილის მამულის გამგეობამ და საქართველოს მთავრობამ არ უნდა დაუშვან ლევილის ტერიტორიაზე ბინის დაკავების ახალი შემთხვევები. პირველი მხარე იღებს თავისთავზე ვალდებულებას, მიანდოს საქართველოს რესპუბლიკას ლევილის მამულის ნასყიდობის და სხვა (მამულის გამგეობასთან და ფლობასთან დაკავშირებული) დოკუმენტების ფოტოპირები. მეორე მხარე, კისრულობს ვალდებულებას დოკუმენტების პირების ანალიზის მიხედვით აწარმოოს ლევილის მამულის საქართველოსათვის გადაცემის მოსამზადებელი სამუშაოები.

ლევილის მამულის გამგეობის სახელით – ბატონი აკაკი რამიშვილი, ქალბატონი ნათელა ჟორდანია

საქართველოს რესპუბლიკის სახელით – ბატონი კოტე კემულარია, ბატონი როინ მეტრეველი, ბატონი გურამ მუჩაიძე, ბატონი რეზო ჩხეიძე

– შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?

– საკითხის გადაწყვეტა ადვილი არ გამოდგა, როგორც ჩანს, საფრანგეთის კანონმდებლობიდან გამომდინარე სირთულეების გამო. საქმის საბოლოოდ გასარკვევად დიდი მუშაობა ჩაატარა საფრანგეთში საქართველოს მაშინდელმა სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა, აკადემიკოსმა გოჩა ჩოგოვაძემ, საქართველოს დესპანმა ნათელა ლაღიძემ. რეალობა ისაა, რომ საკითხი ბოლო პერიოდამდე არ გადაწყვეტილა. საფრანგეთში საქართველოს ამჟამინდელი ელჩი, როგორც ვიცი, ძალას არ იშურებდა საკითხის მოსაგვარებლად. ამასთან, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ 1993 წლის 7 ივლისს პარიზში მიღებული კომუნიკე საზოგადოებისთვის შეგვეთავაზებინა და ამ ორიოდე თვის წინათ ის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნეთ, გარდა ამისა, მისი ასლი საფრანგეთში ჩვენს ელჩსაც გადავუგზავნეთ.

– რა როლი შეასრულა საქართველოსთვის ლევილის მამულის დაბრუნებაში ქვეყნის ახლანდელმა ხელისუფლებამ?

– ძალიან დიდი, განსაკუთრებით სერიოზულად იმუშავეს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. ისინი უშუალოდ დაუკავშირდნენ საფრანგეთში ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს, მოლაპარაკებები აწარმოეს მათთან, ყველა პროცედურული საკითხი საფრანგეთის კანონმდებლობასთან შეაჯარეს და ეს დიდი შრომაც ჯეროვნად დაუფასდათ: 23 სექტემბერს ბატონმა გელა დუმბაძემ, ქალბატონმა თეა წულუკიანმა და ემიგრანტთა წარმომადგენლობამ ხელი მოაწერეს დოკუმენტს ლევილის მამულის გადმოცემის თაობაზე.

– საინტერესოა ლევილის მამულის თქვენეული შეფასება, რადგან თავადაც გადმოცემის პროცესის სათავესთან მდგომი კაცი ბრძანდებოდით და იქაურობასაც კარგად იცნობთ. რას იტყვით ამის თაობაზე?

– არ დავიღლები იმის თქმით, რომ საქართველოსთვის ლევილის მამულის გადმოცემა ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენაა მრავალი მიზეზით. პირველი, უდავოდ, ამ აქტის პოლიტიკური მნიშვნელობაა, რადგან ის ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას უწყობს ხელს. მეორე გარემოება ისაა, რომ, მართალია, ქართული ემიგრაცია იმთავითვე კეთილად იყო განწყობილი საქართველოს ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ამჯერად ეს დამოკიდებულება საქვეყნოდ გამოიხატა. მესამე მომენტი კი ამ ძღვენის წმინდა პრაქტიკულად გამოყენების მხარეა. მართალია, ხელშეკრულებაში კონკრეტულადაა მითითებული, რომ ლევილის მამული ოფიციალურად გადაეცემა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მაგრამ მათი მეშვეობით მისით სარგებლობა ბევრ ხალხს შეეძლება.

საქმე ის გახლავთ, რომ ლევილის მამულის ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ქართულ-ფრანგული მეცნიერებათა აკადემია, ან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიალი საფრანგეთში, მოეწყოს ქართულ-ფრანგული კულტურული ცენტრი, რომელიც შემოქმედებითი სფეროს ყველა მიმართულებით იმოღვაწეებს, განთავსდეს სამუზეუმო, საგამოფენო, სასწავლო-საგანმანათლებლო, საბიბლიოთეკო სივრცეები, აიგოს შესაბამისი საცხოვრისი ჩასული სპეციალისტებისა თუ ასპირანტებისა და სტუდენტებისთვის, მიწვეული სტუმრებისთვის.

იხ. 4 გვ.

არ გვინდა სახელმწიფოს ხელშემყურე ვიყოთ!

ყურძნის ფასი მთავრობამ კი არა, ბაზარმა უნდა განსაზღვროს

— ეგ თავად ქვეყნის დამაქცევრები რატომ იმას არ ამბობენ, თვითონ რა შემატეს ქართულ სოფელსა და მევენახეობას? დაავიწყდათ, მაგათი მმართველობის წლებში, კილოგრამ ყურძენში 40 თეთრს რომ ვმათხოვრობდით და მევენახე წალდით ხელში შვილივით ნაზარდი ვაზის ასაჩეხად გარბოდა? იმის მაგივრად, რომ შეეჩერებინათ, პირიქით, აქეზებდნენ — თუ გაჩეხავ, პრემიასაც მოგცემთო! არ მინდა, უმადურობა გამოვიჩინო და არ შევაფასო ის დადებითი ძვრები, რაც ბოლო წლებში სოფლად განხორციელდა.

რთველი ყოველთვის იყო და ახლაც რჩება სენსიტიურ მოვლენად ქართველ მევენახეთა ცხოვრებაში, მით უფრო წლეულს, როცა მათ რთულ კლიმატურ პირობებში, დიდი შრომა-გარჯის ფასად, მოუხდათ მოსავლის გადარჩენა. ჰოდა, ახლა ამ ნაჯაფარს იმკიან და აბინავებენ კახელები. საინფორმაციო სააგენტოს ბოლო მონაცემებით, ღვინის კომპანიებს ყურძენი უკვე 16 ათასამდე მევენახემ ჩააბარა, რომელთაც თავიანთი საოჯახო ბიუჯეტი 83,6 მილიონი ლარით გაიმდიდრეს. სადღეისოდ მხარეში ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 54 ღვინის კომპანია, რომელთაგან 9 სახელმწიფოს მიერ დაქირავებული საწარმოა. მათ სტაბილურად იკრიფება და ბარდება ყურძენი.

ეს საინფორმაციო სააგენტოების მონაცემებით, მაგრამ რეალობისთვის საკუთარი თვალით რომ შემეხედა, გადავწყვიტე, მშობლიურ სოფელში (თელავის რაიონის სოფელი რუისპირი) ჩავსულიყავი და პირადად გავსაუბრებოდი იქაურ მევენახეებს. აი, თუნდაც იაგო გურგენაშვილს, რომელეიც ათჰექტარიანი ზვრის პატრონია. იგი უზომოდ შეყვარებულია თავის მამულზე, რქადაწნულ ვაზზე, რომელსაც დღენიადაგ თავს დასტრიალებს, თავის დროზე არც წამლობას აკლებს, არც მწვანე ოპერაციებს, არც სხვა რამ სამუშაოს და ყოველწლიურად ხვავიანი მოსავლითაც ხარობს.

ახოვანი აღნაგობის თმაშევერცხლილ იაგო გურგენაშვილს ალაზნისპირა ზვრებში მივაგენი. ხელი ჩამომართვა და მოიბოდიშა, ხედავთ, სართველო გაწამაწიაში ვარ და ნუ დამძრახავთ თუ სადარ მასპინძლობას ვერ გაგიწევთო.

— მასპინძლობა სხვა დროისთვის გადავდოთ, — ვეუბნები, — ახლა ის მითხარით, წლევანდელი მოსავლით კმაყოფილი ხართ?

— რომ გითხრათ, ზღვა მოსავალია-მეთქი, არ ვიქნები მართალი. შარშან ჰექტარზე თუ 10 ტონა ყურძენი მოვკრიფე, წელს 8 ტონაც ძლივს გამოდის.

— რატომ, ზვარს მოვლა-პატრონობა მოაკელით?

— არა, პირიქით, უფრო მეტი ოფლი ვღვარე, მაგრამ კლიმატმა დაგვაღალატა. ისე, ვაზმა წელს გაცილებით მეტი მოისხა, ვიდრე წინა წელს, მაგრამ ჯერ გამუდმებულმა წვიმებმა, ხოლო შემდეგ გაუსაძლისმა ხვატმა, მოსავლის გარკვეული ნაწილი დაგვაკარგვინა.

— სეტყვამ?

— სეტყვისგან თავად მესეტყვეებმა გადაგვარჩინეს, მაგათ რომ ფხიზლად არ ედარაჯათ და ცივგომბორიდან წამოსული ღრუბლების რისხვა დროულად არ განემუხტათ, ახლა ჩვენ, ალბათ, რთველი უკვე კაიხნის მოთავებული გვექნებოდა.

— და არც ღვინის ქარხნებთან იქნებოდა ამხელა რიგები, არა?

— იცოცხლეთ, რიგები არ გვაკლია, წუხანდელი ღამეც ქარხნის ეზოში გავათენე.

— როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთონ ღვინის ქარხნებმა, რომ მომქანცავი რიგები თავიდან ააცილონ ცხოვრებისეული პრობლემებით ისედაც დაქანცულ მევენახეებს?

— მათ ყურძნის მიღება-გადამუშავების ტექნოლოგიების გაუმჯობესებაზე უნდა იზრუნონ და არა იმაზე, მევენახეებს რაც შეიძლება მეტი წაგგვლიჯონ.

— რას გულისხმობთ მაგ წაგლეჯვაში?

— აი თუნდაც ყურძნის შაქრიანობის განსაზღვრის არსებულ წესს. მახსოვს ადრე, ყურძნის ჩაბარებისას, დადგენილ კონდიციასთან შედარებით, რაც მეტი იყო ყურძნის შაქრიანობის პროცენტი, მევენახეს იმდენად მეტ თანხას უხდიდნენ.

— ახლა?

— ახლა გარჩევა არ არის, კონდიციური 21 პროცენტის ზევით შეიძლება ყურძნის შაქრიანობამ 25-26 პროცენტსაც მიაღწიოს, მაგრამ კაპიკსაც არ დაგიმატებენ. ვისი ჯიბის სასარგებლოდ კეთდება ეს? რა თქმა უნდა, მეღვინეების.

ამ ორი დღის წინათ მოხდა „სასწაული“, შილდის ქარხანამ გადაწყვიტა, ზემოდან დაწესებულ ყურძნის ფასში „კორექტივი“ შეეტანა და გამოაცხადა — ხვალ დილიდან კილოგრამ რქაწითელში 15 თეთრით მეტს გავცემო. იმ ღამით ქარხანასთან ისეთი რიგი გაიჭიმა, ლამის კუდიგორას მისწვდა (რიგში მეც ვიდექი). თურმე რას გარბიხარ, გაგვაცუცურაქეს. ეტყობა, ღამით მხარის მთელი მეღვინეები თავს დაესხნენ შილდელებს, ფიცის გატეხაში (ყველას ზემოდან დადგენილ ფასში უნდა მიეღო ყურძენი!) დაადანაშაულეს და გადააფიქრებინეს.

მეორე ამბავს გეტყვით. ახლა წესად რომ შემოიღეს ჩაბარებულ ყურძენზე თანხის გაცემის ოცდღიანი პერიოდი, როგორ ფიქრობთ, ეს ვის ინტერესებშია? გაუგებარია, რატომ უნდა იყენებდეს ჩემს კუთვნილ თანხას ღვინის ქარხანა მთელი 20 დღის მანძილზე, მაშინ, როცა რთველში მომუშავეთათვის შეპირებული ანაზღაურება ვერ მიმიცია და იძულებული არიან მთელ დღეს ხმელაპურზე გადაიარონ. ისინი მუშები არიან, მონები ხომ არა?

— ბევრს უხდით?

— ჩემთვის ბევრს, მაგრამ მათთვის ცოტას. შარშან თუ რთველში მომუშავენი დღიურად 15 ლარს სჯერდებოდნენ, ახლა 20-25 ლარს მოითხოვენ. საერთოდ, ყველაფერი გაძვირდა, მათ შორის შხამქიმიკატებიც, რომლის შეძენაც ახლა თითქმის ორჯერ მეტი მიჯდება, ვიდრე წინა წლებში. ყველაფერი ეს ხომ ყურძნის თვითღირებულებაზე აისახება!

— გინდათ თქვათ, რომ მევენახე მოწეულ მოსავალში იმდენს ვერ იღებს, რამდენსაც ხარჯავს?

— მთლად მასე არ არის, მაგრამ დღეს მევენახე, საერთოდ, გლეხკაცი თავის შრომის სადარ ანაზღაურებას რომ ვერ იღებს, ამას ყველა ხედას და განიცდის.

— განსაკუთრებით ნაცები არიან შეშფოთებული გლეხობის გასაჭირით, რომლებიც ამ ყველაფერში დღევანდელ უქნარა და უუნარო (მათი სიტყვებია) ხელისუფლებას ადანაშაულებენ და ღიად აცხადებენ, რომ მათმა არაკომპეტენტურობამ და უმოქმედობამ მთელ ქვეყანასთან ერთად სოფლის მეურნეობაც დააქცია!

— ეგ თავად ქვეყნის დამაქცევრები რატომ იმას არ ამბობენ, თვითონ რა შემატეს ქართულ სოფელსა და მევენახეობას? დაავიწყდათ, მაგათი მმართველობის წლებში, კილოგრამ ყურძენში 40 თეთრს რომ ვმათხოვრობდით და მევენახე წალდით ხელში შვილივით ნაზარდი ვაზის ასაჩეხად გარბოდა? იმის მაგივრად, რომ შეეჩერებინათ, პირიქით, აქეზებდნენ — თუ გაჩეხავ, პრემიასაც მოგცემთო! არ მინდა, უმადურობა გამოვიჩინო და არ შევაფასო ის დადებითი ძვრები, რაც ბოლო წლებში სოფლად განხორციელდა.

— აი თუნდაც იმაზე რას იტყვით, წელს ხელისუფლებამ მევენახეთა სუბსიდირებისთვის 25 მილიონი ლარი რომ გაიღო? ახლა მევენახე ამის წყალობით კილოგრამ რქაწითელში მინიმუმ 80 თეთრს, ხოლო საფერავში — 1 ლარს მაინც იღებს. ეს, რა თქმა უნდა, ბევრი არ არის, მაგრამ იმაზე გაცილებით მეტია, რაც წინა ხელისუფლების წლებში იყო.

— მაგრამ ჩვენთვის რომ ამ 80 თეთრსა და თუნდაც 1 ლარს ძლივს იმეტებენ, აბა იანგარიშეთ, ამ ჩვენი ყურძნისგან დამზადებული ღვინით თავად მეღვინეები რა თანხებს იჯიბავენ(!). თანაც იმ პირობებში, როცა ღვინის ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება.

— გეთანხმებით, ექსპორტი მართლაც იზრდება, მაგრამ როგორც ღვინის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, ამის პარალელურად ერთი ბოთლი ღვინის ფასი საშუალოდ დაახლოებით 25 პროცენტით შემცირდა. მათი განმარტებით, სახელმწიფომ ამიტომ მიიღო სუბსიდიის გადაწყვეტილება, ურომლისოდაც გლეხი, ყურძნის მწარმოებელი ვერ მიიღებდა ისეთ შემოსავალს, რომელსაც დღეს იღებს. ფიქრობთ, რომ მან უფრო მეტი სუბსიდია უნდა გაიღოს მევენახეთა დასახმარებლად?

— მე ვინ მეკითხება, თორემ ვფიქრობ, რომ სახელმწიფომ სუბსიდია საერთოდ არ უნდა გაიღოს. ჩემი აზრით, ეს არასწორი პრაქტიკაა, რაც, ერთი მხრივ, აზარალებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ხოლო მეორე მხრივ, მევენახეებში ქმნის გაუმართლებელ ცრუ მოლოდინს, რასაც თან სდევს ამ უკანასკნელთა უკმაყოფილება და აგრესია.

— აბა, რა უნდა მოიმოქმედოს მთავრობამ, რომ მევენახემ გაწეული ხარჯიც აინაზღაუროს და მოგებულიც დარჩეს?

— მთავრობამ მევენახეთა სუბსიდირებაზე კი არა, იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ქვეყანაში თავისუფალი კონკურენტული ბაზრის პირობები შექმნას, სადაც მევენახეთა და მეღვინეთა შორის ურთიერთობებს და, აქედან გამომდინარე, ფასწარმოქმნას (ახლა მთავრობა უწესებს გლეხს — მე ამდენს მოგცემ და ქარხანამ ამდენი მოგცესო) თავად ბაზარი დაარეგულირებს.

— ახლა მას ხელს რა უშლის?

— ხსენებული ბაზრის არარსებობა, სამაგიეროდ კი ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც მსხვილ ღვინის კომპანიებს (ლამის მათ მთელი კახეთის ზვრები თავიანთ საკუთრებად აქციონ, გლეხი კი ულუკმაპუროდ დატოვონ) და წუწკ სახელმწიფო მოხელეებს საშუალებას აძლევს ბაზარში ხელები ყასბებივით აფათურონ, თავად დიდ-დიდი ნაჭრები მიითალონ, მევენახეებს კი სამათხოვრო გროშები გადმოგვიგდონ. ხდება ისე, რომ ჩვენ ვერც ყურძნიდან ვიღებთ რეალურ შემოსავალს და ვერც ოჯახში დაყენებული ღვინო-არყით, რომელსაც ბაზარში ჩალის ფასი აქვს.

— კარგი მოლაპარაკე, ეპითეტებით მოაზროვნე პიროვნება ჩანხართ ბატონო იაგო, მაგრამ იქნებ უკეთესი იყოს, ის გვითხრათ, კონკრეტულად, მთავრობისგან რას მოითხოვთ?

— ისეთს არაფერს, რის გაკეთებაც არ ევალებოდეს. მთავრობა რომ ტრაბახობს, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ბიზნესისთვის მთელ მსოფლიოში გამორჩეული პირობებია შექმნილიო, უზრუნველყოს, რომ კანონებად აკინძული ეს პირობები რეალურად იქცეს, რომ პროდუქციის შემქმნელი მეწარმეები სარჩენად ბიუჯეტისკენ კი არ ვიცქირებოდეთ, პირიქით, ჩვენი შრომა-გარჯით ვარჩენდეთ ოჯახებს და იქით ბიუჯეტსაც ვეხმარებოდეთ.

როგორც ჩანს, მევენახის ამ სამართლიანი მოთხოვნის შესრულება იმ მთავრობას მოუწევს, რომელსაც ხალხი 8 ოქტომბერს აირჩევს. ვფიქრობთ, დგება დრო, ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ხანა, როცა მხოლოდ მთავრობის წევრები, პარლამენტარები და მათთან ჩახუტებული მსხვილ-მსხვილი ბიზნესმენები ცხოვრობენ ყინჩად, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი სიღარიბეში იხრჩობა.

ოთარ ხუციშვილი,
თელავი-
რუისპირი-თბილისი.

ზუგდიდში ტექნოლოგიური პარკი ოფიციალურად გაიხსნა

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ზუგდიდში ტექნოლოგიური პარკი ოფიციალურად გახსნა. თბილისის შემდეგ ზუგდიდის ტექნოპარკი მეორეა, რომელიც საქართველოში ამოქმედდა. ის პრეზიდენტის ზუგდიდის რეზიდენციის შენობაში განთავსდა. დიმიტრი ქუმსიშვილთან ერთად ტექნოპარკის გახსნის ღონისძიებაში ასევე მონაწილეობა მიიღეს სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან შონიამ და ეკონომიკის სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს დირექტორმა ირაკლი ქაშიბაძემ.

„ზუგდიდში ტექნოპარკის გახსნის მიზანია, დავეხმაროთ ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებსა თუ ადგილობრივ მთავრობას, გამოიყენონ აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით,“ — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ტექნოპარკის პრეზენტაციისას.

დიმიტრი ქუმსიშვილმა ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს გუნდს ნაყოფიერი შრომისთვის მადლობა გადაუხადა. „ჩვენი პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივა — „სტარტაპები“ პროექტი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც დავიწყეთ და სწორედ მას ვუყრით საფუძველს დღეს ზუგდიდში, — აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ვავა, ჩქიმი ცოდა!

საქართველო საბედისწერო არჩევანის წინაშე დგას. ხვალინდელ არჩევნებზეა დამოკიდებული მომავალშიც ქართველებად დავრჩებით თუ არა, ოჯახი ქალისა და კაცის კავშირს ერქმევა თუ სხვაგვარ კავშირებს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს კვლავაც ეცოდინებათ ნათესაობა, ბიძაშვილ-მამიდაშვილობა, დეიდაშვილ-ნათლიისშვილობა, ბებია-ბაბუები და, საერთოდ, იმ კულტურის მემკვიდრეები ვიქნებით თუ არა, რომელსაც სამიათას წელზე მეტია ატარებს ქართველი ერი! კვლავაც იარსებებს ქართველი კაცის ბაგეზე ღვთიური ქართული ენა თუ ლინგვისტური არქივების საკუთრება გახდება იგი?

მარტო ჩვენ კი არა, მთელი მსოფლიო დგას არჩევანის წინაშე: ადამიანური ზნეობა თუ ცივილიზებული უზნეობა, რომლის ფინალი არარსებობაა! მსოფლიოში დიდი და ძლიერი ხალხებიც არიან, ჩვენნაირ უმწეოებთან ერთად და ისინი, ალბათ, მიხედავენ თავიანთ პრობლემებს, ან ძალით გადაწყვეტენ მათ ან ჭკუით. ჩვენ ჩვენი ვიფიქროთ. ძალა ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ ჭკუა?

ჭკუით ქართველებო, – ერთხელ უკვე გაგვაფრთხილა ჩვენმა ბრძენკაცმა ამ ოცი-ოდე წლის წინათ. არ დავუჯერეთ მაშინ! იქნებ ახლა მაინც გავიხსენოთ ის გაფრთხილება!

გაფრთხილება კი ნამდვილად გვჭირდება, რადგან არჩევანის გაკეთება გვიჭირს; გვიჭირს, რადგან არ ვიცით, რის მიხედვით გავაკეთოთ არჩევანი. ამას ისიც ემატება, რომ ჩვენში ასარჩევი, მგონი, ამომრჩეველზე მეტია, ამიტომ, საზოგადოებაში აქტუალურია არა კითხვა – „ვინ ავირჩიოთ?“ არამედ – „ვინ აგვირჩევს?“

ჩვენ დღემდე ვერ გავაცნობიერეთ ის კონსტიტუციური უფლება, რაც მონიჭებული გვაქვს – ქვეყნის მართვაში სხვების თანასწორი მონაწილეობა გვევალება. და რადგან პრაქტიკულად ამის ნატურალური განხორციელება შეუძლებელია, ამიტომ ვირჩევთ ჩვენს ერთ წარმომადგენელს, რომელსაც გადავცემთ თითოეული ჩვენგანის უფლებას. ისე, რომ ჩვენი არჩეული დეპუტატი, პარლამენტში რომ ზის სამჭკუაშვილი ან მითაგვარია კი აღარ არის, არამედ კოლექტიური გელაშვილები და გეგელაშვილები, აბრამიშვილები და აბრამიძეები, არაბიძეები და არაბუ-ლები და ა. შ. და ა. შ. არის. ამიტომ, მის საქციელზე არა მარტო თვითონ არის პასუხისმგებელი, არამედ თითოეული ჩვენგანიც.

ჩვენ დღემდე ვერც ის გავიგეთ კარგად, რომ პარლამენტი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოა, რომელზეც დამოკიდებულია იმ სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ორიენტაციები. ამიტომ ამ ორგანოში ის კაცები უნდა ავირჩიოთ, რომლებსაც კანონშემოქმედებითი საქმიანობა ხელეწიფებათ, რომლებსაც ძალა (ინტელექტუალური, ცხადია!) შესწევთ ქვეყნის განვითარების რაციონალური გზა აირჩიონ, კარგად იციან ქვეყნის წინაშე მდგომი გამოწვევები და საფრთხეები და შეუძლიათ მათი დეტალური ანალიზი.

ჩვენში კი, რა ხდება და ხდებოდა დღემდე? პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად ყველაზე სასურველ კაცად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ის, ვინ უფრო ცნობადი სახეა, ვის უფრო მეტი მიღწევები აქვს საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში, ვინ უფრო მეტ ადამიანს უყვარს! ამიტომ ექაჩებოდნენ პარლამენტში ცნობილ მწერლებსა და მსახიობებს, მეცნიერებსა და სპორტსმენებს...

აბსურდულია საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისადმი ასეთი დამოკიდებულება. ყველაზე ცნობადი სახე თბილისში კიკა იყო და კარგი იქნებოდა მისი დასმა საკანონმდებლო ორგანოში? არაერთი ცნობილი მწერალი თუ რეჟისორი მჯდარა საქართველოს პარლამენტში, რომლის ხმა არ გაუგონია ამომრჩეველს ოთხი წლის განმავლობაში!

ინგლისის პარლამენტში ოცდახუთი წლის განმავლობაში იჯდა ლორდი ისააკ ნიუტონი, რომლის ბადალი მეცნიერი ჩვენ დღემდე არ გვყოლია, მაგრამ რა სარგებლობა მოუტანა მისმა დეპუტატობამ ინგლისს? არც არაფერი! მან მხოლოდ ერთხელ მოითხოვა სიტყვა და როდესაც საამისოდ ნება დართეს, თქვა: ჩემს პირდაპირ რომ ფანჯარაა, მიხურეთ, თორემ გამჭოლი ქარი მიბერავს და მეშინია არ გავცივდეო.

ინგლისის პარლამენტში ოცდახუთი წლის განმავლობაში იჯდა ლორდი ისააკ ნიუტონი, რომლის ბადალი მეცნიერი ჩვენ დღემდე არ გვყოლია, მაგრამ რა სარგებლობა მოუტანა მისმა დეპუტატობამ ინგლისს? არც არაფერი! მან მხოლოდ ერთხელ მოითხოვა სიტყვა და როდესაც საამისოდ ნება დართეს, თქვა: ჩემს პირდაპირ რომ ფანჯარაა, მიხურეთ, თორემ გამჭოლი ქარი მიბერავს და მეშინია არ გავცივდეო.

ნიუტონი ოცდახუთი წლის განმავლობაში პარლამენტის სხდომებს რომ ესწრებოდა, უსაქმოდ კი არ იყო, ალბათ, გრავიტაციისა თუ სხვა უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებებზე ფიქრობდა და საკაცობრიო წინსვლაში შეჰქონდა წვლილი. მე არ ვიცი, ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები რაზე ფიქრობენ პარლამენტის სხდომებზე, მაგრამ საქართველოს იმის ფუფუნება არ აქვს, საკანონმდებლო ორგანოებში ქვეყნის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ გასაჭირზე კი არა, რომელიმე სპექტაკლის მიზანსცენებსა თუ ნოველის სიუჟეტებზე ფიქრში გადაუხადოს ფული დეპუტატებს.

ჩვენ ისიც კი არ ვიცით კარგად, რა ფუნქცია აკისრია საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატს. ამომრჩეველთა ერთი ნაწილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტის დეპუტატის მოვალეობა მის ამომრჩეველთა უბნებზე კეთილმოაწყოს გზები, სახურავები თუ ლიფტები შეუკეთოს მცხოვრებლებს, მიხედოს წყალგაყვანილობას, ააშენოს სკოლა თუ საბავშვო ბაღი, პენსია დროზე მოუტანოს ამომრჩეველს და ა. შ. რა თქმა უნდა, პარლამენტის დეპუტატმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მის ამომრჩევლებს გაუუმჯობესდეთ შრომა და ცხოვრება, მაგრამ მან ეს საქმე უნდა გააკეთებინოს ადგილობრივ ხელისუფლებას, თუ საჭიროა, უნდა აიძულოს კიდეც იგი. მისი ძირითადი საქმე საკანონმდებლო საქმიანობაა. არა და ამომრჩეველი ფიქრობს, ისეთ კანდიდატს მისცეს ხმა, რომელიც მისი ახლობელი ან ნაცნობია, მისი უბნელია, ფულიანია და შეძლებს ხელი გაუმართოს გაჭირვებულს, ამიტომაა, რომ თავგამოდებით იღვწიან ნაცნობ-მეგობრები გაიყვანონ არჩევნებში. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ხარაგაულის ან საგარეჯოს რაიონში, საბურთალოზე ან ვარკეთილში კეთილდღეობა დამყარდება ვინმეს ძალისხმევით ისე, რომ დანარჩენ საქართველოში გაჭირვებულები იცხოვრებენ, ძალიან, ძალიან ცდება.

ეს რაც შეეხება მაჟორიტარი დეპუტატების არჩევას, პარტიებთან დაკავშირებით კი...

აი, აქ არის თუ არის განუკითხაობა, ჩვენი სიბრიყვისა თუ გამოუცდელობის გამო.

ბუნებრივია, ადამიანს უხარია კარგ რამეს თუ დაჰპირდები, მაგრამ შენი დაპირებისა რომ დაიჯეროს, ცოტა დაფიქრება მაინც ხომ უნდა მოეთხოვებოდეს. ის მაინც არ უნდა იკითხოს, ამ კაცს ძალი თუ შესწევს ქადილისაო. ისევ იმავე აზრზე ხომ არ უნდა ვიყოთ, ყვარყვარე თუთაბერის ამხანაგები – კაკუჩა და ქუჩარა რომ იყვნენ! გახსოვთ, ალბათ, ყვარყვარე რომ ჰპირდებოდა იმ უბედურებს, ბროლის სასახლეებს დაგიდგამთ, მე რომ ოქროს სასახლეს ავიშენებო, მაშინ. არა, მათგან და ბევრიც აღარაფერი გვიკლია.

საშოვარზე გამოვარდნილი ე. წ. პარტია, რომლის არც ლიდერის გაკეთებული საქმე უნახავს ვინმეს, არც რიგითი წევრებისა, ხალხს რომ ჰპირდება, ამირჩევთ თუ არა, მაშინვე 300-ლარიან პენსიებს დაგინიშნავთ, სკოლის მასწავლებლებს კი 800 ლარზე ნაკლები ხელფასი არ ექნებათო, უნდა დაიჯეროს საღად მოაზროვნე კაცმა? საიდან მოიტან ამ ფულსო, არ უნდა იკითხოს. ბიუჯეტში თუ საამისო საშუალებები არსებობს, არსებული ხელისუფლება საკუთარი თავის მტერი ხომ არ არის, მოსახლეობის კეთილგანწყობა რომ არ სურდეს და ამ კეთილდღეობას უმალავდეს თავის მომხრეებსა თუ მოწინააღმდეგეებს?

ერთი ე. წ. პოლიტიკური პარტის ლიდერმა ისეთი დაპირება ისროლა, საანეკდოტო რომ არის ნამდვილად: ას წელს მიღწეულ ადამიანებს 2 000-ლარიან პენსიას დავუნიშავო. ასი წლისა ორი კაცია საქართველოში და ისინიც 8 ოქტომბრამდე გაძლებენ თუ არა, არავინ იცის. მოდი და ასეთ პარტიას მიეცი ხმა, არ აგაშენებს!

ვავა, ჩქიმი ცოდა!

პარტიებს კი თვლა არ აქვთ: ახალი და ძველი მემარჯვენეები და მემარცხენეები, ცენტრისტები და ცენტრიდან გაქცეულები, პატრიოტთა ალიანსები და არაპატრიოტთა კავშირები, ამის დემოკრატები და იმის დემოკრატები, წითლები და თეთრები, მწვანეები და ცისფერები... დაიბნევა უბირი ამომრჩეველი, აბა, რა მოუვა!

რომ არ დავიბნეთ, კარგად დავაკვირდეთ, ვინ გვთავაზობს რეალურ პროგრამას, რომლის შესრულება მართლა შესაძლებელია. ზოგი დაპირებები და ქიმერები ერთხელ ხომ არ ვნახეთ: ჩვენ იქით მივდივართ, იქ არის ჩვენი სახლი, იქ გველოდებიან, ჩვენ მართალია, ქართველები ვართ, მაგრამ, ესე იგი...რა მაგრამ, რის ესე იგი! სამი ათასი წელია, ამ მიწა-წყალზე ვართ, აქ შექმნეს სახელმწიფო ჩვენმა წინაპრებმა და რა „ესე იგი“ სჭირდება ამას, ან სად მივდივართ, ან როგორ მივდივართ, ნეტავი? ასეთ ცრუქაქუნებს უნდა დავუჭიროთ მხარი?

იულიუს ცეზარმა ერთხელ თავისი ცოლის ერთგულებაში ეჭვი შეიტანა. მერე ის ეჭვი არ გამართლდა, მაგრამ ცეზარი მაინც გაეყარა ცოლს. რატომ ეყრები, ხომ გამართლდა შენი ცოლიო, – უთხრეს თანამდგომებმა. კეისრის ცოლი არ შეიძლება ეჭვმიტანილი იყოსო, – უპასუხა კეისარმა.

აგერ, ჩვენი ყოფილი „კეისრის“ მიშაიას ჰოლანდიელი ცოლი ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაშია ეჭვმიტანილი, თანაც არა მარტო საქართველოში, არამედ უკრაინაშიც, მაგრამ საქართველოში ნაცმოძრაობამ (ნაცბანდამ) მაინც წამოაყენა პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად და ამომრჩეველთა ერთი ნაწილი ტაშისკვრითა და ყვავილებით შეეგება მას (?!).

ამას ჰქვია არჩევანი და ხვალინდელ დღეზე დაფიქრება?ორი ღერი მეგრული რომ ისწავლა და საყველპურო ქართული, რა, ეს ცეერუს სტაჟიანი აგენტი ქართულ (ან მეგრულ) ენას საერთაშორისო ენის სტატუსს მოუტანს თუ მისი წამხედურობით ევროკავშირში ქართულად დაიწყებენ ლაპარაკს? მტერი არაა მეტი! ჩვენი ამომრჩევლის ბითურობას იყენებენ და ეგ არის სულ!

ისევ იქა ვართ, დეპოში!

მახსენდება, მოსკოვიდან ცნობილი სტუმარი რომ ჩამოვიდოდა და ორ დაზეპირებულ ქართულ სიტყვას რომ დაგვძახებდა რიხიანად – გამარდჟობათ კარტველებოო, – სიხარულით ცას ვეწეოდით ხოლმე და ზღაპრულ პურმარილს ვუშლიდით, ისევ ის ხალხი ვართ? ამდენ ხანში ვერც ვერაფერი ვისწავლეთ და ვერც ვერაფერი დავივიწყეთ?

არ ივარგებს ასე!

ახლა მაინც ვაჯობოთ ჩვენს თავს. დავივიწყოთ, რომ ჩვენი მამული ის კი არ არის, რაც წნელით, ღობით ან გალავნით გვაქვს შემოკავებული, არამედ საქართველოა და საქართველოზე ფიქრით ავირჩიოთ ის კაცები, რომლებმაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის დღევანდელი და ხვალინდელი დღისთვის უნდა იღვაწონ. აი, ამ მოღვაწეობის უნარის, ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით შევარჩიოთ სადეპუტატო კანდიდატები და არა იმით, თუ ვის უფრო უკეთ შეუძლია ბანი უთხრას მომღერლებს, ვის უფრო ძლიერი კუნთები და მაგარი შუბლი აქვს, ან ყველაზე მეტ სისულელეს ვინ იტყვის დროის ყველაზე მცირე მონაკვეთში.

არც ჩვენი ბინა და სახლია ჩვენი ციხე-სიმაგრე! ჩვენი ციხე-სიმაგრე საქართველოა და თუ იგი ავისმოსურნემ ჩაიგდო ხელში, თავზე დაგვამხობს იმ გალავანსაც, რომელიც ეზო-კარ-მიდამოზე გვაქვს შემოვლებული და ვეღარც ფუჭი ლოზუნგების სკანდირება გვიშველის მაშინ.

ახლა არჩევნების კვირაძალია. დავფიქრდეთ და ახლა მაინც გავაკეთოთ ისეთი არჩევანი, რომ მტერმაც და მოყვარემაც თქვას: არჩევანის გაკეთება უსწავლიათო ქართველებს! ასე თუ არ მოვიქცევით, აღარაფერში დაგვჭირდება კიდევ ერთხელ მიღებული მწარე გამოცდილება მაშინ!

ზურაბ ცუცქირიძე

P. S. არჩევნების წინა დღეს, შვიდ ოქტომბერს 75 წლის ვხდები. არც ძალიან ბევრია, მაგრამ არც ცოტაა განვლილი წლები. ბევრი ვნახე და განვიცადე და იმაშიც დავრწმუნდი, რომ ბევრი რამ, რაც მეგონა, ვიცოდი, არ მცოდნია, თურმე...

ჩემს ბავშვობაში ქურდული გაგების კაცებს ასეთი გამონათქვამი ჰქონდათ ტატუირებული მკლავზე, ბეჭზე ან მკერდზე: „ღმერთო, დამიფარე მეგობრებისგან, მტრისგან თავს თვითონ დავიცავ“. ეს აზრი „შავი გაგების“ ადამიანთა ბორბოტი ნააზრევი მეგონა. ახლა, ამ, ორიოდე კვირის წინათ მივხვდი, რომ ვცდებოდი და ბაჯაღლო ჭეშმარიტება უთქვამთ იმ „შავებს“. რატომ? იმიტომ, რომ მეგობარს უკონტროლოდ ენდობი და ნებსით თუ უნებლიეთ მისმა საქციელმა შეიძლება ხიფათს შეგამთხვიოს: მერე ვეღარც იმის მტკიცებას მოჰყვები, კაცი თუ ხარ, მეგობარმა ჩემგან დამოუკიდებლად ქნა ეს და მე არაფერი პასუხისმგებლობა არ გამაჩნიაო.

ეს ხიფათი ჩვენს პოლიტიკურ არჩევნებსაც ახლავს თან და, ჩემი რჩევაა, სხვათა რჩევის გარეშე გააკეთეთ არჩევანი!

ზ. ც.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲔ?!

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐᲡ

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ,

დიდი ინტერესით წავიკითხე საიტზე **edu.aris.ge** ჟურნალისტ ეკა წივწივაძის წერილი სათაურით **„პედაგოგის სტატუსი და ახალი სტანდარტები – რა სიახლეები ელით წელს ბაგა-ბაღებს?!“**.

წერილში სასიხარულო ფაქტზეა საუბარი. კერძოდ იმაზე, რომ შეიქმნა კანონი სკოლამდელი განათლების შესახებ. დამტკიცდა კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის შესახებ. მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს რაზეა საუბარი, მოკლედ მოგახსენებთ შემდეგს:

1921-იდან 1997 წლამდე ბაღის აღმზრდელებს ჰქონდათ პედაგოგის სტატუსი და ყველა ის სიკეთე, რაც სკოლის პედაგოგებს.

პირველი საბავშვო ბაღები ქ. თბილისში 1921 წლიდან შექმნეს შვეიცარიაში განათლებამიღებულმა თამარ ერისთავმა, პეტერბურგში განათლებამიღებულმა ნატალია არღუთინსკაიამ, საუკეთესო პედაგოგმა ნატალია უნაფქოშვილმა... ბაგა-ბაღების ქსელი განავითარეს შემდგომმა თაობებმა. უცხოელებმა სისტემას „უნიკალური“ უწოდეს.

1997 წელს მაშინდელმა პარლამენტმა, ალექსანდრე კარტოზიას მინისტრობის დროს, სკოლამდელი აღზრდა გამოიყვანა განათლების სისტემიდან, 2004 წლამდე, კვლავ განათლების სფეროში მოვიაზრებოდით, შენარჩუნებული გვქონდა პედაგოგის სტატუსი და ყველა ის სიკეთე, რაც სკოლის პედაგოგებს ჰქონდათ. 2004 წელს, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ბატონ ზურაბ ჟვანიას ხელმოწერილი განკარგულების თანახმად, შეიქმნა პროექტი განათლების შესახებ, რაც შემდგომ პარლამენტმა დაამტკიცა, რომლის მიხედვით განათლების სისტემის პირველი საფეხური არა სკოლამდელი აღზრდა, არამედ დაწყებითი განათლება გახდა. ამგვარად, ჩამოგვერთვა პედაგოგის სტატუსი და ყველა სიკეთე, რაც კი გვქონდა – დამსახურებული პედაგოგის წოდება, სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენა, გაუქმდა პერსონალური პენსია და სხვა.

2011 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ რუბრიკით „ვალში არ უნდა დავრჩეთ“ გამოვაქვეყნე წერილი სათაურით **„აღზრდასა და საბავშვო ბაღის აღმზრდელებზე“**, რომელშიც ვწერდი, რომ „აღმზრდელი“ რუსული „Воспитательница“-ს კალკია და, რომ დროა შეიცვალოს იგი საბავშვო ბაღის მასწავლებლის წოდებით. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩემმა სტატიამ იქონია გავლენა, მაგრამ ფაქტია, რომ საკითხი გადაწყდა.

2017 წლის 1 სექტემბრიდან „აღმზრდელს“ ოფიციალურად ეწოდება „აღმზრდელ - პედაგოგი“, „აღმზრდელების თანაშემწეებს“ – „აღმზრდელი“. ვფიქრობ, კარგი იქნება ახლადშემოღებულ შტატს – „ჭურჭლის მრეცხავებს“ „აღმზრდელის თანაშემწეებს“ თუ ვუწოდებთ.

ბატონო მინისტრო, ეს მოკლე ისტორია იმიტომ მიმოვიხილე, რომ წერილში მოყვანილი თქვენი სიტყვიდან ჩანს, თქვენ გვერდით ახალი მუშაკები იღვწიან, რომლებიც **წარსულს კარგად არ იცნობენ**. წარსულს რომ კარგად იცნობდეთ **edu.aris.ge**-ს ჟურნალისტის კითხვას – რა აზრისა ხართ სკოლამდელი აღზრდის შესახებო, არ უპასუხებდით, რომ **„განათლების ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი სწორედ ბაღებია“. სკოლამდელ განათლებაში ერთი დიდი სიცარიელე გვაქვს, ერთი მხრივ, არის „სიჩუმის გაკვეთილები“, მეორე მხრივ, ჩვენს შვილებს „მაშა და დათვი“ ზრდის.**

ბატონო ალექსანდრე, ამ სიტყვებმა შოკში ჩააგდო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა პედაგოგები. ჩვენ უკვე მე-12 პროგრამითა და სტანდარტებით ვმუშაობთ. „იუნისეფმა“ შარშან დიდი დახმარება გაგვიწია და ბოლო წლებში შეიქმნა პროგრამების უმეტესობა, შარშან გამოიცა **„სასკოლო მზაობის პროგრამა“**, რომელიც 5 წლის ბავშვების სკოლისთვის მზაობას შეუწყობს ხელს. ბაღებში ყოველდღიურად მზადდება თემატური პროექტები და მშობლების თანდასწრებით ტარდება მათი წარდგენა. პატარები ვიზუალურად ცნობენ ასოებს (წერას სკოლა ასწავლის), ციფრებს, გეომეტრიულ ფორმებს, შეუძლიათ ქუჩაში მედიატექსტების წაკითხვა, აქვთ სწორად ჯდომისა და მოსმენის უნარი, პროსოციალური ქცევები, მღერიან და ცეკვავენ ეროვნულ და მოძმე ერების ცეკვებს, სხვადასხვა რელიგიისა და აღმსარებლობის ბავშვებს შორის მიმდინარეობს კულტურათა დიალოგი. ბაღში მარტო საპროგრამო მასალას კი არა, სხვა საინტერესო საკითხებსაც ვასწავლით. პირადად ჩვენ 170-ე ბაგა-ბაღში ჩავატარეთ დიდი ღონისძიება სათაურით „დავასუფთაოთ ჩვენი საქართველო“, რომელშიც ჩართული იყვნენ მშობლები და არასამთავრობო ორგანიზაციები, შეიძინეს სპეციალური მაისურები, წითელი ფერის სამუშაო ხელთათმანები, წაიკითხეს ლექსები, მოახდინეს ნაგვის სეპარაცია, შენობებსა და ეზოში გააკრეს პლაკატები, რომლებიც მხატვრულად ბავშვებმა გაფორმეს, ხოლო მასწავლებლებმა ლექსებით წერილობით დაამშვენეს, ბოლოს პატარებმა დარგეს მცენარეები. ღონისძიება ოთხმა ტელევიზიამ გააშუქა, პედაგოგებს კი დირექტორის ბრძანებით **„მადლობის წერილი“** გადაეცათ.

აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავი მთაწმინდის პანთეონში აკაკის საფლავზე აღვნიშნეთ. ავუსრულეთ დიდ პოეტს სურვილი „ჩემს საფლავზე ბავშვები მოვლენ და ითამაშებენო“. არა მარტო ითამაშეს, არამედ მის მიერ შექმნილი საბავშვო ლექსებიც წაიკითხეს. ღონისძიება საქართველოს საზოგადოებრივმა ტელევიზიამ გააშუქა. ბავშვებმა სკოლაში წასვლისას იციან ყველაფერი, რაც კი იქ სწავლისთვის გამოადგებათ. ამიტომაცაა, რომ მშობლები ამბობენ: „ჩვენი შვილებისგან ბევრ რამეს ვსწავლობთო“, ხოლო სკოლის პედაგოგები კი – „ბაღებიდან მოსული ბავშვები მერცხლებივით ჭიკჭიკებენო“.

ბატონო მინისტრო, ნუ ატკენთ გულს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა პედაგოგებს. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველა პედაგოგი იდეალურია, მაგრამ უმრავლესობა პატარებისათვის პირნათლად შრომობს, ისინი ხომ ქვეყანას **„ოქროს ფონდს“** უზრდიან, მათი შრომის ანაზღაურება კი ამის ადეკვატური სულაც არ არის, ამიტომაცაა, რომ კვლავ არსებობს ბაღში დიდი ხნის წინათ გაჩენილი ფრაზა: **„თუ გინდათ კარგი ცხოვრება, ნუ წახვალთ სამუშაოდ საბავშვო ბაღში“**.

პედაგოგები მადლობას ვუხდით თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს იმისთვის, რომ ქალაქში აშენდა ახალი ბაგა-ბაღები, გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, ბაღის ეზოში დაიდგა სპორტული და გასართობი სათამაშოები, ჩვენი ბაღის ეზოში ქალაქის მერიამ პატარებთან ერთად დარგო 50 ნაძვის ხე, რომელთაგან ყველამ გაიხარა. ბავშვები შინ აღარ მიჰყვებიან მშობლებს, აქვთ საუკეთესო კვება. მადლობა საქართველოს ხელისუფლებას, რომელმაც მე-3 წელია, მშობლებს უდიდესი საჩუქარი გაუკეთა და ბაგა-ბაღები უფასო გახადა, რაც ყველაზე განვითარებულმა ქვეყნებმაც კი ვერ მოახერხეს.

ბატონო მინისტრო, ყურადღებამისაქცევია და კრიტიკას იმსახურებს ბევრი რამ, მათ შორის ის ფაქტი, რომ პროგრამა, რომელიც დღეს მოქმედებს ბაგა-ბაღებში, ბევრად უფრო რთულია, ვიდრე 1-ლი და მე-2 კლასის პროგრამა. პროგრამაში ძირითადად უცხოური ლიტერატურაა შეტანილი და ნაკლებად ეროვნული. პრინციპიდან გამომდინარე, საბავშვო ბაღში სწავლების სტრატეგია მარტივიდან რთულისკენ უნდა წარიმართოს, ამ პროგრამაში კი შემდეგითობის პრინციპი სრულიად დარღვეულია.

გასაკრიტიკებელია ისიც, რომ დღეს ბაგა-ბაღებში სულ სხვა პროფესიის ადამიანები ინიშნებიან, ისიც, რომ ბაგა-ბაღებში გასულ წლებში 25 ბავშვი ირიცხებოდა, ეს იყო სტანდარტი, დღეს კი 35 ბავშვია და მას ემატება ყოველ 10 ბავშვზე ერთი შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვი. ასევე რატომ გაუქმდა მუსიკის მასწავლებელთა განაკვეთური მუშაობა და არ განისაზღვრა მათი ხელფასი? მართალია, კვება საუკეთესოა, მაგრამ გადახედვას მოითხოვს მენიუ, რადგან საკვები ნაკლებად ეროვნულია, ზოგი საკვები უცხოა ქართველი ბავშვებისათვის და იგი ხელუხლებელი რჩება. უხერხულობას იწვევს დესერტის 12 სთ-ზე გაცემა, რაც სუფთა ჰაერზე ყოფნის დროს ამცირებს.

ბატონო ალექსანდრე, მაპატიეთ, რომ მცირე შენიშვნა შეგკადრეთ, მაგრამ სითამამე იმან შემმატა, რომ თქვენს გამინისტრებამდე დიდი გულისყურით ვისმენდი თქვენს ტელელექციებს. ვიწონებ თქვენს თანამედროვე აზრებს განათლების მართვის საქმეში, გარდა ამისა, პრესის საშუალებით გავიგე, რომ ხართ კარგი მეოჯახე, კარგად მღერით და ხართ საუკეთესო თამადა. არ ეთანხმებით უცხოელებს, რომლებიც აკრიტიკებენ **„თამადის ინსტიტუტს“** და მას არადემოკრატიულს უწოდებენ, გარდა ამისა, სიტყვის თავისუფლება ხომ დემოკრატიის მონაპოვარია, რითაც ჩვენი სამშობლო დამსახურებულად ამაყობს. ასევე ვიამაყებთ სკოლამდელი აღზრდის პედაგოგები პარლამენტის გადაწყვეტილებით, რომლითაც აღმზრდელები მიიღებენ პედაგოგის სტატუსს, დამსახურებული პედაგოგის წოდებას, სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენას და პერსონალურ პენსიას (ნეტარ არიან მორწმუნენი), რაც ხანდაზმულ პედაგოგებს დამსახურებულ პენსიაზე გასვლის საშუალებას მოგვცემს. დღესდღეობით კი ყველაფერი ეს პირადად შემეხო (მქონდა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია, რომელიც არასდროს ამიღია, რადგან ვმუშაობდი. იგი ყოფილმა მთავრობამ გააუქმა) და მცირე პენსია არ მაძლევს საშუალებას, ადგილი დავუთმო ახალგაზრდა პედაგოგებს, რაც მორალურად ძალიან მთრგუნავს.

დაბოლოს, აღმზრდელებმა იციან, რომ „აღმასვლა დაბლიდან იწყება“, იციან ისიც, რომ სკოლა წარმატებული მაშინ იქნება, როდესაც პირველ კლასში 5 წლის პატარები კარგი სკოლამდელი განათლებით შევლენ, ამისთვის აღმზრდელ-პედაგოგები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საკუთარ განათლებას. ეს ხდება ტრენინგების საშუალებით.

ბატონო მინისტრო, საბავშვო ბაღი არასდროს ყოფილა „ცარიელი ადგილი“, ხოლო, რაც შეეხება „მაშა და დათვს“, „ფიფქია და შვიდი ჯუჯას“ და სხვა ზღაპრების სპეციალური ტექნიკის საშუალებით ნახვას, ეს სწორედ განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული პროგრამითაა რეკომენდებული (იხილეთ „აქტივობათა კრებული“).

ᲜᲔᲚᲘ ᲙᲔᲞᲣᲚᲐᲫᲔ,

170-ე ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, საპატიო ნიშნის, ღირსების ორდენის, გოგებაშვილის მედლის კავალერი, თბილისის მერიის ოქროს მედლის კავალერი.

ᲤᲝᲗᲨᲘ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

ᲓᲦᲔᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ“ ᲤᲝᲗᲨᲘ ᲣᲚᲢᲠᲐᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲡ ᲮᲡᲜᲘᲡ.

„საქართველოს ცემენტის კომპანიამ“ მასშტაბური პროექტის წამოწყებამდე საქართველოს ცემენტის ბაზრის საფუძვლიანი კვლევა ჩაატარა. კვლევამ აჩვენა, რომ დასავლეთ საქართველოს ცემენტის ბაზარი ძირითადად თურქეთიდან იმპორტირებულ ცემენტს ეკავა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბაზარზე არსებობდა ნიშა მსხვილი ბიზნესმოთამაშისთვის. „საქართველოს ცემენტის კომპანიამ“ გადაწყვიტა სწრაფად ემოქმედა და დაესწრო პოტენციური კონკურენტებისთვის.

ამბიციური პროექტი „საქართველოს ცემენტის“ კომპანიამ ფრანგულ-შვეიცარიულ კომპანია, მსოფლიო ბაზრის უპირობო ლიდერ „ლაფარჟჰოლციმთან“ თანამშრომლობით განახორციელა. „ლაფარჟჰოლციმი“ +Lafargeholcim) წარმოდგენილია მსოფლიოს 90 ქვეყანაში და ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა ცემენტის, ინერტული მასალებისა და ბეტონის ბიზნესში. კომპანიაში დასაქმებულია 115 000 თანამშრომელი და ფლობს 2500 მეტ ქარხანას მთელს მსოფლიოში, მათ შორის 1600 ბეტონის, 180 სრული ციკლის და 70 ცემენტის ქარხანას.

პროექტის განხორციელების პროცესში „საქართველოს ცემენტის კომპანიამ“ სათანამშრომლოდ მიიწვია ქართული კომპანიები, რომლებმაც ფასდაუდებელი გამოცდილება შეიძინეს. ქარხანაში პირველ ეტაპზე სრული განაკვეთით 60 ადგილობრივი დასაქმდება. გაცილებით მეტი იქნება არაპირდაპირი თანამშრომლების რაოდენობა.

და როდესაც მტკიცე ხელით შემოხაზავ 41-ს

არა, არა ხუთრქიან თვალთმაქცს, ხუთრქიან ნომენკლატურას!

I

პირველია თვალთმაქცობით,
აღარ ვიცი, როგორ ვაქო!
პიარ-მიზნესს, აფიორას
ისე ახვევს როგორც მაქო!
აბა როგორ არ ვიტირო,
ჩავიგუბო თვალში ცრემლი,
როცა ყველამ მიატოვა
მუდარება ქართველ მრევლის.
აბა როგორ არ ვიტირო,
შიგ ნაღველში ცრემლის ჩაღვრით,
მაიმუნი აღადავებს
ჩემს ერს თვალში ნაცრის წაყრით.

II

ენდე მართალ ჭავჭავაძეს,
კეთილშობილ გმირთ, რომლებმაც
სამშობლოსთვის თავი დადეს.
ენდე კაცურ შემართებას,
თორემ ღმერთი დაგივიწყებს,
ხუთიანს არ გაეკარო,
ღმერთი მართლა არ გაგიწყრეს.
ხორცით ტკბობის დავიწყებით
ბოროტება გადახაზე
საქართველო გაახარე,
ყარყვარეთი ასამარე.
ხმა მიეცი 41-ს
თვალთმაქცობა გადარაზე,
თუ გინდა რომ უფლის ხატმა
გაიმარჯვოს სატანაზე.

III

ოცნებების ცისფერ ნისლში
მისწვდი ახალ გამოწვევას,
გამოთხოვე შეპირება
პარლამენტის ამ მოწვევას.
მტკიცედ იდექ ნდობის შუქში
სუფთად ჭუჭყის შეურევლად,
აღარ დათმო, შეუძახე
არ გარდიქცე ისევ მძევლად,
თავიდანვე, პირველ წამსვე
მტკიცე ნებით, შეურყევლად,
მოითხოვე პრინციპების
ერთგულება შეურყვნელად!.

IV

გაიხსენე, რომ ქართული
ეროვნული ხასიათი,
პირველ რიგში ზნეობაა–
რაინდული და მთლიანი
და თუ ვინმე ამ სულიერ
ლიბოს გაცლის შეფარულად,
უპირველეს მტრად ჩათვალე
მოცინარობს ვერაგულად.

V

გაიხსენე პრემიერის
დაპირება მრავლის მთქმელი,
მისი მძლავრი შემართება –
ვაუკაცური პირში მთქმელი:
„საქართველოს მთავრობა ვართ
და ღირსებით მოვიქცევით,
ისე როგორც შვენის მამულს,
საკადრისად ქართველ ერის“.
რასაც მოჰყვა „შეშფოთება“,
გაფრთხილებდნენ მეგობრები
და თუ მაინც გავბედავდით
წმინდა სამართალის წესით
სისასტიკის მხილებას და
დასჯას სისტემური ბრენდის
შემქმნელი და მონაწილე
დამნაშავე მწვალებლების,
საქართველოს წინ ელოდა
„მძიმე პოლიტიკური და
ფინასური შედეგები“!

VI

ის პირობა ბიძინასი - იყო ფიცი,
რაც არ ან ვერ შეასრულა,
აჰ! თქვენ ბრძანებთ: უცილობლად
ფიცი რადა არ აღასრულა,
თავი რატომ არ გაწირა?
ამას ამბობთ ვაუკაცურად?
როცა ჩვენი სქელი ტრაკის
შეწუხებაც კი არ გვსურდა?
მაშინ ფლიდმა, ყალბმა ოხვრამ
სულმდაბლობის შლამში გვძირა,
ციხეებში ნატანჯ ძმებსაც
გვერდში არვინ არ დაუდგა
და მთავრობის სასახლესთან
მოშიმშილე ტუსაღებმა
ვერაფერით ვერ უშველეს
დამცირებულ სიმართლეს,
დარჩნენ დამცირებულად.

VII

ამიტომაც კიდევ ერთხელ –
საბოლოოდ გამოსცადე,
შეფარული ნაცმპყრობელი
არ დაინდო გამომარგლე:
ცბიერება ასამარე!
მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ,
მტერს და დუშმანს ნუ ვახარებთ,
პრინციპების უმტკიცობა –
ქართველ ხალხის იდეალებს,
არ ვაჭარბებ (გულს მეყრება)
სამუდამოდ ასამარებს:
იდეალთან მხოლოდ ერთი
დიადი გზა გვაზიარებს -
ზნეობრივი კოდი ქართლის
გადაარჩენს ახალ ქართველს!

VIII

ცან სიმართლე (კარგად იცი)
ფარისეველ მოამაგეს,
არა უცხოს, ჩვენ მეგობარ
სტრატეგიულ მოძალადეს –
რა ფარული აზრი მსჭვალავს,
რა მიზნები ამოძრავებს:
ექსპერიმენტს წარმოადგენ
ვარდობიდან აქობამდე.

IX

გაიხსენე რა გზა განვლეთ,
რას ვიქმოდით, რანი ვცანით,
ბოროტებამ რომ იმძლავრა –
ზუსტად მაშინ ბუშის შარმით,
წმინდა პენტაგონის მარშით –
შევბღაოდით შუქურ-ვარსკვლავს.
(აი, სწორედ მაშინ წავხდით)
შევნატროდით მის წყალობას,
ცრუ დემოკრატს, ლაჩარ სარდალს,
სიცრუის ხატს შევხაროდით.

X

ჯერ სად იყო, წინ გველოდა
ბოროტეულ მარიფათის,
აღზევება და დამცრობა
ღირსების და ქართველ მამრის;
იმ ჯოჯოხეთს მე ვით აღვწერ...
(ყელში ცრემლი მეგჯინება),
სანამ ქართველს სული უდგას,
ის სირცხვილი, ის დაცემა
აუტანელ, აღუწერელ
ტკივილებად თან გაჰყვება;
მას სახელიც კი არა აქვს,
რომ დავარქვა – ვერ ითქმება,
ჩემი ერის მერიდება.
  და თუ მკითხავთ, როგორ რა გზით
ევროამერიკულ ბრენდმა
დაუმალა თავის მმართველს
ქვეყნის ციხედ გადაქცევა,
ხალხის ტანჯვა და წამება,...
მე რა გითხრათ... თვითონ ხვდებით!

XI

მერე როცა კარგად „მოჯდა“,
8 აგვისტოს ავანტურაც
არ დახანდა ამოყროლდა
და წინასწარ განწირულმა
დროშები და პლაკატები
საზეიმოდ გაიმზადა
(ო, რა ბრიყვმა გვიბელადა)
და ცხინვალში შეგრიალდა
(სისხლის ღვარში ამოყროლდა)
პირტიტველა ყმაწვილები
მიატოვა ღვთის ანაბრად.
შიშით მიწა ცხვირით თხარა,
ო, ის სახე შეურაცხმყოფ,
გულისამრევ სახედ დარჩა,
სულიერად მანადგურებს
ადამიანს აღარ ვგავარ.

XII

გულს მირევდა სიბინძურე
იმ სისხლისღვრის გადაფარვის,
ხელზე მედო თვითმხილება,
რა უხამსი ბალაგანით
უპასუხეს რუსის ჩექმას,
რა იაფი,
პიარით და მასკარადით.
საკუთარ თავს ვამზადებდი
სიკვდილისთვის შესახვედრად,
ჩემს ქალაქში ტანკს ველოდი
ვაპირებდი მასთან შებმას,
ესენი კი, ფურთხის ღირსი
ბრბო, მხეცი და ნაცელიტა,
ვინც ჯერ კიდევ ზოზინებდა
წითელ ხიდთან არ მიიქცა –
რუსთაველზე სეირნობდა
და „დიადი“ დამარცხების
გამარჯვებას ზეიმობდა.

XIII

მერე როცა თვალთმაქცების
ნაციონალური ბანდა
შიშის გუდას თავს მოუკრავს,
ნაცნობ სქემას „გაიმასქნავს“...
და დევნილთა ცრემლის ხარჯზე,
გეტოების კვოტის ფარსით
უსინდისოდ ხელს მოითბობს,
მილიარდებს ამოქაფავს.

XIV

მთავარ თემას: დამპყრობელის
აგრესიის შეჩვენების!
და „მხილების“ პოლიტიკას –
შეეწირა ჩვენი ქვეყნის
მიწა-წყალი
და მძვინვარე ახალ ტალღის
აღზევების, ხოცვა-ჟლეტის
გავხდით მსხვერპლი.
კონდოლიზა რაისი რომ
გაჰკიოდა: „შესდექიო!“
(თვითონ ბრძანა ესეც მითი),
პენტაგონი რას იქმოდა?..

XV

მახსენდება (ბოღმა მახრჩობს)
იქვე ახლოს ქაშუეთში,
სად პოეტის სული ქროდა
მშვიდად ტაძრის სიწმინდეში,
როცა კუბო ზეაღმართეს
(ეზოს ჯერაც არ გასცლოდა),
სწორედ მაშინ დაკრეს ბუკი,
გააჩაღეს ტაშ-ფანდური,
ნატოელი ხუთეული
სიცრუეში სეირნობდა,
სულიერი საქართველო
სამაჩაბლოს მისტიროდა,
სამშობლოსთვის სისხლდათხეულ
ჯარისკაცებს მისტიროდა!
ო, სიყალბევ! პრეზიდენტთა,
მეთაურთა აღელვების,
იმპერიულ კარისკაცთა,
ევროპული აღმატების,
ამაზრზენი ზარ-ზეიმის
მოზიმზიმე რობოტები
თვალთმაქცს ფეხქვეშ ეგებოდნენ
ყიჟინით და აღტაცებით.

XVI

ის ყიჟინა დღესაც ისმის
და ბოროტი აღტყინებით
კაცის მკვლელებს ხმას თუ მივცემთ,
თვალთმაქცის წინ ქვედამხობილს,
ვითარც თანასწორი წყვილი
უფლის ტაძრის დამამხობლის
ჭაობიდან ვერ ამოვალთ
ზნეობრივი კატასტროფის..
მერე ვურტყათ კედელს თავი
შავი ბედი ვწყევლოთ ქართვლის
და ვუსმინოთ დითირამბებს
უსასტიკეს გარეწარის.

XVII

ვინც მისტირის ბოროტ მოძღვარს
ვით მსახური უმდაბლესი
აირჩიეთ ვის ვინ ნებავს
ისარგებლეთ უფლებებით,
მერე შესვით სადღეგრძელო
გამაუპატირებელის
და იცხოვრეთ სულიერი
სიბინძურის სიბილწეში.

XVIII

ჰა, მოვედით დღევანდლამდე
სიძულვილი ისევ ღვივის,
დაუსჯელი დამნაშავე
კვლავ ბობოქრობს, კვლავ დაგვცინის
და თუ ერი არ შეიკრა
ზნეობრივი სალტით ერთხმად
და არ გავაცნობიერებთ
მას, რაც გუშინ დაგვემართა,
გველოდება სხვა დაცემა
ახალი წლის,
მეორეულ გააფთრებით....
მთაში, ბარში, სულში, სახლში
ჯოჯოხეთის ჩრდილი დაძრწის.

XIX

ასეთია (ბოლო წუთს თვლის)
ჩვენი ყოფა-ხასიათი,
ეს სახადიც მოვიხადეთ
ვინ რა იცის, რა ხიფათის...
აგერ თვალზე აგვაფარეს
ოდესური ხალიფატი
და ხალიფად გამოაცხვეს
ძებნილი ექსპრეზიდენტი
ეხლა რა ვქნათ, როგორ რა გზით
რა სიწმინდით განვვლოთ დღენი?
ჩვენ სამშობლოს კიდევ შერჩათ
ძალნი ვალის აღსრულების
სიყვარულის იმპულსების
სულიერი ამოფრქვევის.
ვიცი, ვიცი, რასაც ფიქრობს,
რასაც ეტრფის ჩემი ერი
აღსრულდება, ახლო არის
ჟამი ცაში ლაღად ფრენის.
საქართველოს მისიაა –
ზნეობრივი აღმაფრენით
სიყვარულის იმპულსების
კაცობრივი დასაყრდენის
გახდეს ცენტრი
და იტვირთოს, რაიც ღმერთმა
დაგვაკისრა ამ გამოცდით
სატანჯველის განსაცდელის.

XX

ხვალ სხვა მახე გველის გზაზე
მტერ-მოყვარის შემწეობით,
განსაცდელის ახალ ტალღას
ვერ აიცდენ მერყეობით,
ხმას რომ მისცემ 41-ს,
შეამატე სხვაც, სხვებს შორის –
„პატრიოტთა ალიანსი“
პირველია იმ სხვებს შორის!
მეჭიაურს! არ ეგების
დაუვიწყო ვაუკაცობა
და „უბლოკო დემოკრატსაც“
აგრძნობინე თანადგომა!
„დემოკრატს“ და „ქართულ დასის“
და „ჩვენები“-ს გულწრფელ ღველფს
თევზაძის მკაცრ - ნათელ სახეს
არ მოაკლო, მიაქციე
შენებური ყურადღება!
სხვებსაც შენი გემოვნებით
ღირსეულ მამრს - მაღალ წრთობის,
კეთილშობილს და განსწავლულს
მოექეცი თანაგრძნობით!
მრეწველი არ დაგავიწყდეს.

XXI

ასე ჩემო საქართველო
ეშმაკეულს გაერიდე,
ღვთის სამართალს ნუ ირიდებ, –
ყური სათნოდ მიურიდე!
ჭეშმარიტის დასაცავად
გამოუხმე მიურიდებს!
და როდესაც მტკიცე ხელით
შემოხაზავ 41-ს
და აირჩევ ხელმეორედ
დე ფაქტოდ და დე იურედ –
ჩემს მზეს ვფიცავ არ ვაჭარბებ –
დაპირებებს არ ვარიგებ,
საქართველო გაიმარჯვებს,
სიყვარულით სიძულვილზე!

გურამ მანაგაძე-
მამფალი.

◎ დღეს – მომავლისთვის

ბედი ლევილის მამულისა

(მესამე გვერდიდან)

ისე კი ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა გაკეთდება მომავალში ლევილის მამულში, რადგან იქაურობის ძალიან დიდი ყურადღების მიქცევა სჭირდება ხელისუფლების მხრიდან – ამთავითვე საჭიროა გარკვეული სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რაც, მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტის მეშვეობით, ჩვენმა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს. ამ მხრივ, ცხადია, არანაირი პრობლემა არ იქნება, თან ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ამის გაკეთებას დიდძალი სახსრები არ დასჭირდება, რომ ბიუჯეტს ამ დამატებითი ტვირთის ატანა გაუჭირდეს.

– წელან თქვენ აღნიშნეთ, რომ საქართველოსთვის ლევილის მამულის გადმოცემასთან დაკავშირებით აკადემიაში მთავრობის წევრები გარკვეული ანგარიშით წარსდგნენ... თუ შეიძლება, გვიამბეთ ამ თავყრილობის შესახებ.

– როგორც გითხარით, ლევილის მამულის თაობაზე ხელშეკრულებას სახელმწიფოს მხრიდან ხელი მოაწერეს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ქართველ მეცნიერთათვის, ზოგადად, ქართული საზოგადოებრიობისთვის ერთგვარი ანგარიში ჩაებარებინათ. მათ გარდა, თავყრილობას ასევე დაესწრნენ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი.

თავყრილობის მონაწილეთა წინაშე სიტყვით გამოსულმა მინისტრებმა დამსწრეთ მოლაპარაკებათა მიმდინარეობაზე, სხვადასხვა იურიდიული პროცედურის დროს წარმოშობილ სიძნელეთა დაძლევასა და მრავალ სხვა უაღრესად საგულისხმო საკითხზე ილაპარაკეს. ამის დეტალურად გაგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ორივე მინისტრის გამოსვლას დამსწრე საზოგადოება ძალიან გულთბილად შეხვდა. ჩვენი სასიქადულო, მხცოვანი მეცნიერი, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე სიტყვით გამოვიდა და დიდი მადლობა გადაუხადა მინისტრებს გარჯისათვის.

ამასთან, ისიც მინდა გითხრათ, რომ აკადემიაში შეხვედრაზე სიტყვით გამომსვლელთა მიერ ლევილის მამულის მომავალთან დაკავშირებით მთელი რიგი საკითხი დაისვა. კერძოდ, გამოითქვა აზრი, რომ ლევილში ჩვენ შეგვიძლია საქართველო-საფრანგეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და შემოქმედებით სფეროებში ურთიერთობების საკითხებისა და სამომავლო პერსპექტივების განსახილველად გარკვეული დღეები დავაწესოთ. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ჩვენში აუცილებლად უნდა შეიქმნას თუნდაც მცირე, მაგრამ ქმედითი სტრუქტურა, რომელიც თვალყურს ადევნებს ლევილის განვითარების პროცესს, რაც აუცილებელია საიმისოდ, რომ მას ფართო პრაქტიკული გამოყენება ჰქონდეს.

სტუმარს ესაუბრა
ოთარ ტურაგელიძე.

„სამი საუნჯის“ ახალი ნომერი



დაიბეჭდა სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალის მესამე კვარტალის ნომერი (სექტემბერი, 2(18), 2016), რომელიც სარედაქციო საბჭოს სახელით (რედ. **გრიგოლ რუხაძე**) არჩევნებისწინა პოზიციას საზოგადოების წინაშე ამგვარად წარადგენს: **„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, მოვალენი ვართ, მონაწილეობა მივიღოთ მომავალი საკანონმდებლო ორგანოს არჩევაში და მორალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ხმა მივცეთ იმ კანდიდატებს, რომელთაც სამშობლოს ბედი უნდა მივანდოთ.**

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჩვენს პატრიოტულ მოთხოვნებს სრულად არცერთი პარტიის პროგრამა არ აკმაყოფილებს, სიბრძნე და გამოცდილება გვკარნახობს, რომ არჩევანი მაინც უნდა გავაკეთოთ, თუნდაც – არასასურველსა და ნაკლებად არასასურველს შორის.

ჩვენი მხრივ, როგორც რიგითი ამომრჩევლები, თანამემამულეებს მხოლოდ იმას შევახსენებთ, რომ საქართველო, როგორც კულტურული, ისე სოციალური თვალსაზრისით, „9+1“ წლის განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კატასტროფამდე მიიყვანა, ხოლო 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ქართველი ხალხის მხარდაჭერითა და ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის წინამძღოლობით იხსნა ქვეყანა და, ცხონებული სულხან მოლაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართველ ერს არსებობის საშუალება მისცა.

მადლიერებითა და სინდისის კარნახით არჩევნებზე მისვლა უკეთესი მომავლის საწინდარია“.

ჟურნალში ასევე წაიკითხავთ ამონარიდს პარტიის **„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“** ვრცელი საარჩევნო პროგრამიდან, რომლითაც არა მარტო პარტიის მომავალი გეგმების გაცნობა, არამედ უკვე შესრულებულ საქმეთა შთამბეჭდავი სურათის დანახვაც შეიძლება.

თინა იველაშვილის სტატიაში **„მათ ჩვენი კულტურის მოსპობა აინტერესებთ“** მხილებულია იმ დასავლური სტრუქტურებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს მიზანმიმართულად უპირისპირდებიან. **ანზორ თოთაძე „საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის ძირითადი შედეგებიდან“** გამომდინარე კიდევ ერთხელ იმაღლებს ხმას ჩვენი ქვეყნის მძიმე დემოგრაფიული ვითარების შესახებ და საზოგადოებას შეაგონებს, რომ ეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ მთელი ერის საერთო ძალისხმევით შეიძლება გადაიჭრას. **გულბაათ რცხილაძის** ნარკვევში **„ქართველები და რუსული მესიანიზმი“** განხილულია ერთი ბიზანტიური საეკლესიო წინასწარმეტყველება მუსლიმების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობისა და „რუსთა მოდგმის“ მიერ მისი გათავისუფლების შესახებ. ავტორმა გამოიკვლია, რომ ამ თემაზე ყველაზე ძველი წერილობითი მოწმობა XIV-XV საუკუნეების ქართველ ავტორებს იოანე ცოფაიშვილსა და დანიელ ხამბაშურს ეკუთვნით.

ნათელა არველაძის სტატია **„დიდება მყიფე კეისარს!“** არის რეზიუმე წარმოდგენისა „იულიუს კეისარი“, რომელიც ცნობილმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრში უილიამ შექსპირის ტრაგედიის მიხედვით დადგა. სტატიის ავტორის აზრით, რობერტ სტურუას მხატვრული გადაწყვეტა შეიძლება მიიღო, ან არ მიიღო, მაგრამ იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ ეს არის მაღალი რანგის პროფესიული აზროვნებით შექმნილი, აქტუალური, ასოციაციური ნაკადით მდიდარი, ქვეტექსტებით აღსავსე, ინტელექტუალური სანახაობა. **მამუკა ცუხიშვილის** წერილში გადმოცემულია ისტორია **„მცხეთის წმიდა ეკატერინეს(ოლღას) სახელობის დედათა მონასტრისა“**, რომელიც ამჟამად მოქმედია და სულიერი აღორძინებისთვის ძველი ასკეტური ტრადიციების განმტკიცებას ესწრაფვის.

კულტურული მემკვიდრეობის არდაკარგვისთვის, თითქმის 70 წლის შემდეგ ჟურნალი ისევ აქვეყნებს ცნობილი ქართველი მეცნიერის **კორნელი კეკელიძის** ნარკვევს **„ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში“** და ამით მკითხველს შეახსენებს, რომ შუა სს-ში ქართველი ერი განათლების დონით ევროპის ხალხებს არ ჩამოუვარდებოდა. ამიტომ დღეს ჩვენი კულტურული მონაპოვრის გაუთვალისწინებლად, მხოლოდ უცხოური უნივერსიტეტებისკენ ლტოლვა, ქართულ მეცნიერებას განვითარების საშუალებას ვერ მისცემს.

სამწუხაროდ, „სამი საუნჯის“ რედაქციამ ამ ერთი წელიწადის განმავლობაში დიდი დანაკლისი განიცადა, ჯერ პროფ. **ბორის დარჩია** (მის ხსოვნას ჟურნალმა წინა ნომერში მ. თავდიშვილის ეპიტაფია უძღვნა), შემდეგ კი, აგვისტოს თვეში, პროფ. **ნოდარ ლომოური** გარდაიცვალა. ბოლო ჟამის ამ ერთერთ „მეცნიერების რაინდს“ ეძღვნება ნეკროლოგი, რომელიც იმ სამეცნიერო დაწესებულებათა სახელით გამოქვეყნდა, სადაც ბ-ნ ნოდარს მოღვაწეობა უხდებოდა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ მცირე ტირაჟის გამო ჟურნალი მხოლოდ „ბიბლუსისა“ და „მაცნეს“ ქსელებით ვრცელდება.

ავთანდილ გეჟაური

◎ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

თანამედროვე ტექნოლოგიები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებისთვის

2016 წლის 28,29 და 30 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა **საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“ (კონფერენცია ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით).**

კონფერენციის ჩატარების მიზანი: ფართოდ იქნეს განხილული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების მიზანშეწონილობა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით და აღნიშნული მიზნის მისაღწევად თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენება, რაც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფორმა იქნება.

კონფერენციის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს უკრაინის, ბელარუსის, მოლდავეთის, პოლონეთის, რუსეთის (მათ შორის ჩრდილოეთ ოსეთის), აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის და თურქეთის მეცნიერებმა.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე სტუმრებს და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. **გურამ ალექსიძე**. კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ და მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა,** მინისტრის მოადგილემ **იური ნოზაძემ,** განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **თამაზ მარსაგიშვილმა,** რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ **თინათინ ბოჭორიშვილმა,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სწავლულმა მდივანმა **გიორგი სურგულაძემ,** საქართველოს ბიომეურნეობების ასოციაციის „ელკანა“ დირექტორმა მარიამ ჯორჯაძემ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა **ლ. უჯმაჯურიძემ,** უკრაინის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, რუსეთის და ჩრდილოეთ ოსეთის დელეგაციების ხელმძღვანელებმა.

პლენარულ სხდომაზე თემატიკის მიხედვით საინტერესო მოხსენებები გააკეთეს აკადემიკოსებმა **გ. ალექსიძემ, გ. ტყემალაძემ, ზ. ცქიტიშვილმა** და სტუმრებმა – **მ. ჯორჯაძემ** („ელკანა“), **ვ. კუჩერიავიმ** (უკრაინა), **ა. ალტიბაევმა** (ყაზახეთი), **ზ. მამედოვმა** (აზერბაიჯანი), **დ. მანახოვმა** (რუსეთი), **ზ. ხუზმიევმა** (ჩრდ. ოსეთი).

კონფერენციის მონაწილეებისათვის დაიბეჭდა პროგრამა და კონფერენციის შრომათა კრებული, რომელშიც წარმოდგენილია 176 სამეცნიერო სტატია, მათ შორის საზღვარგარეთიდან – 47 და საქართველოდან 129. კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებების აგარარული მიმართულების მაგისტრებმა და დოქტორანტებმა.

კონფერენციის მსვლელობის პარალელურად აკადემიის შენობაში მოეწყო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც მონაწილეობდნენ სამეცნირო-კვლევითი ცენტრი, საქართველოს აგრარული ფირმების წარმომადგენლები და ინდმეწარმეები.

აღსანიშნავია, რომ გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა მიიღეს სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის (ხელმძღვანელი ქალბატონი **მაია ასაკაშვილი**) წევრმა ბავშვებმა, რომელთა მიერ წარმოდგენილმა ექსპონატებმა კონფერენციის მონაწილეთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

კონფერენციის სტუმრებისათვის მოეწყო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში, გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახში ფერმერ სულხან გულაშვილის „საგვარეულო მარანში“, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯილაურას ექსპერიმენტულ ბაზაში.

კონფერენციის მესამე დღეს პლენარულ სხდომაზე შეჯამებული იქნა ჩატარებული სამუშაოები, მიღებული იქნა „დეკლარაცია-2016“, რომელიც შემდგომში დაეგზავნებათ კონფერენციაში მონაწილე ყველა ორგანიზაციას და სხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში. კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცათ კონფერენციაში მონაწილეობის სერტიფიკატები.

სალომე კიკნაველიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრესსამსახურის ჟურნალისტი

გოდება სანგრებთან



ჟურნალისტის ნანახი და განცდილი

ᲫᲘᲠᲘ იყო და, ერთი ჰქონდათ, ლხინი იყო და, ერთი ჰქონდათ აფხაზებსა და ქართველებს მუდამ!

მერე, არავის აღუდგენია აქ რკინიგზის ჯიხური. ეს ნანგრევი გაფრთხილებად იდგესო ასე! — უთქვამს ვიღაცას და ასე დაუტოვებიათ. თუმცა, წლების შემდეგ, საუბედუროდ, მატარებელმა საერთოდ მიატოვა ამ გზაზე სიარული...

...თეთრ აბრაშს ფეხით მოუძღოდა შაოსანი მხედარი. ბეჭებამდე ჩამოძონძოდა თმები და ჟღალი წვერი უფარავდა გულ-მკერდს.

— ე, სპირდო მოდის, აგრბა, საცოდავი!... — თქვა ბაგრატ ბიძიმ და ფაფანაკი მოიხადა. ვიდექით და ჩამოქვეითებული მხედრის მოახლოებას ველოდებოდით.

— შენ რომ ამბობ იმ დღეს, აქ ქალიშვილი დაეღუპა უბედურს... კვირაძალზე ქორწილი ჰქონდათ დანიშნული... ანგელოზს ჰგავდა, საცოდავი, მარი... ცხრამეტისაც არ იყო ჯერ ისევ... ე, მაღლა, სახლი რომ დგას, ახლა, გავერანებული, იქ ცხოვრობდნენ აგრბები... შავი მარმაში ჩამოაფარა სპირდომ ოდას მაშინ და არც არასდროს ჩამოუხსნია იგი მერე... უბედურება ერთხელ რომ დაეჩვევა სადმე, ადვილად არ შორდება იმ ადგილს... სულ მალე მეუღლეც გარდაეცვალა სპირდოს, ქალიშვილის მწუხარებას გადაჰყა, საცოდავი... 93-ში სპირდოს ორივე ვაჟიც შეიწირა ომმა... თუ ომი ერქვა ამას!... მას მერე დადის ეს უბედური, ასე შარა-შარა, და თუ ვინმეს გამოელაპარაკა, ჩემი შვილები ხომ არ გინახავთო, ეკითხება, თუ არადა, ხმას არ იღებს... რისი სული უდგას ნეტავი?!.

მაღლა, გორაკზე, ერთ დროს ციტრუსებითა და მაგნოლიით მოფარდაგებულ ეზო-კარს, ერთგული გუშაგივით დარაჯობდა გავერანებული ოდა და, ახლა უკვე, ოთხ ზოლად ჩამოშლილი შავი მარმაშით აპირქუშებდა დედამიწას.

სპირდომ უსიტყვოდ ჩაგვიარა. თეთრი აბრაშის უნაგირ-მოსართავებს გახუნებული თალხი ესუდრა და ცხოველის თვალ-უპეებიდან და გვერდებიდან აქაიქ გამომკრთალ შინდისფერ ლაქებსაც გადასდებოდა მისი ფერი.

ზღვა იყო ლურჯი და მზე თაკარა, მაგრამ გარემოსაც თალხი დასდებოდა მაინც!...

...ტამიშის ნახიდარზე გადებული ბოგის იქით შემორჩენილი მოსაცდელი ფარდულიდან აფხაზთა უძველესი მელოდიები ისმოდა:

„ვოისარაიდა, სი ვარაიდა, ვო, რაიდა, ვოისა რაიდა...“ — ამ მისამღერში ჯერ ისევ ჩაკირულ რომელიღაც ღმერთს მშვიდობასა და წყალობას შესთხოვდნენ ნაქეიფარი აფხაზები. მერე მეგრულმა კვნესამ ააჩქამა ნაომარი მიწა:

„ჰოი, შური, საყვარელი,
რინა მუში მამარდა რე,
რინაში ნება ქორდასნი,
ქიანა მუში მაფართარე!...“

„ჰოი, სულო, საყვარელო, ყოფნა რაოდენ მადლია, ყოფნის ნებას რომ გვაძლევდნენ, მიწა რამხელა ფართია!...“

ძველებურად მომინდა მათთან ერთად შემოძახილი, მაგრამ... ოდესღაც კოლმეურნეობის ნაყანარზე გაკვალული ბილიკით თავი ავარიდეთ ნაქეიფართა სიმთვრალეს.

— ეშმაკს არ სძინავს, ბაბა!... ვინ იცის, ვის როდის გაახსენებს თავს გადატანილი უბედურება!... — თქვა ბაგრატ ბიძიმ.

...ტამიშის ნაპირთან სასტიკზე უსასტიკესი იყო ბრძოლები. ორივე მხარეს უმოწყალოდ დაიხოცნენ ბიჭები და ნასისხლარ მიწაზე ახლა ჩონგურის ჰანგივით გადმოღვრილიყო სევდა...

* * *

ᲙᲔᲚᲐᲡᲣᲠᲘᲡ ხიდთან, რომელიღაც საამქროს თუ მაღაზიის შენობა იდგა, რაც თავი მახსოვს. ახლა, ათასში ერთხელ გაივლიან ავტომობილები ამ ხიდზე. შენობის შემორჩენილ კედელზე კი ვიღაცას საგულდაგულოდ უცდია ვიღაცისავე მინაწერი ტექსტის წაშლა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ამოუფხეკია იგი:

„...ო, აფზახეთო ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ!“

შოთა ნიშნიანიძისა გახლავთ ეს ლექსი და, ეტყობა, სამშობლოს უბედობით მასავით ცრემლადადენილმა აფხაზმა თუ ქართველმა მიაწერა იგი, ამ უკაცრიელ კედელზე. ვიდექი და გულში ვიმეორებდი იმავე ლექსის ცალკეულ ფრაზებს, ერთობ საოცარი სითბოთი, რომ დაუწერია მის ავტორს:

„...ქორი წიწილას აფხაზეთში
თუ იტაცებდა,
ჰაუ, ჰაუო, გვიყვირია
სამეგრელოდან...“
„...და მორდუ აქეთ, თუ ოდესმე
დაამცხიკვებდა,
— ხვიჩას სიცოცხლე! —
ეძახოდნენ აფხაზეთიდან...“
„...ერთი მამალი აღვიძებდა
ოდიშ-აფხაზეთს...“

ბაგრატ ბიძი ხიდის თავთან გადმოგდებულ ლოდზე იჯდა და ამ ხნის მანძილზე პირველად, თუთუნს აბოლებდა. გამიკვირდა!

— თქვენ ეწევით, ბიძი?!

— კი, ჰო, დარდი რომ მომაწვება, მაშინ ვიცი... ეს სამი დღეა შენთან ვარ და არ მომდომებია, გუძა! ახლა კი, ამ ნაწერს რომ კითხულობდი, შევამჩნიე, შენც შეგეპარა ცრემლი, რაღაც!... — არა-მეთქი, ვერ ვუთხარი. ტყუილს მაინც მიმიხვდებოდა ბაგრატ ბიძი, არადა, ვინ იცის, რამდენი მირბენია აქ ჩემს აფხაზ ძმობილებთან ერთად! ერთხელ იყო, თავი გამოვიდე, — კელასურის ტალღებიდან შევცურავ შავ ზღვაში და ასე, ცურვა-ცურვით ამოვალ დიოსკურიასთან-მეთქი. კინაღამ გადავყევი ამ ახირებას! კოტე რომ არ ყოფილიყო, ოზგანი, ახლა ვერ ვიდგებოდი კოდორის ხიდთან. თუმცა, ესეც არის, აფხაზთა და ქართველთა გახლეჩასაც ვერ მოვესწრებოდი...

შუადღემდე დავეხეტებოდით მე და ბაგრატ ბიძი სოხუმის ქუჩებში. კიროვის ქუჩის ერთ-ერთ სახლთან ვიდექით ერთხანს. ამ ეზო-კარში გავატარე ჩემი ბავშვობა და ტკბილ-მწარე მოგონებები... უკვე „სხვა ხალხის ისმოდა აქ ურიამული..!“ მთავრობის სახლის მოედანზე იუზა უბილავა გავიხსენეთ, ჩემი თანაკლასელი და მეგობარი. უკანასკნელად აქ შევხვდი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და ახლაც ყურში ჩამესმის მისი წუხილი:

— „იცოდე, ისე მიდის საქმე, რომ, თუ დროზე არ მიხედა ცენტრალურმა მთავრობამ, ცუდი საქმე მოხდება აფხაზეთში, ძმობილო... ბევრი ვინმე ამღვრევს წყალს, მაგრამ აფხაზი და ქართველი ხალხის სიბრძნისა მჯერა!..“ — სწორედ „იმ ცენტრალური მთავრობის“ ერთ-ერთ შეკრებაზე გაუსკდა გული ჩემს მეგობარს და დღემდე სანანებლად დამრჩენია, ოჯახში მიპატიჟებაზე უარი რომ ვუთხარი მაშინ...

...მორიგმა შეხვედრამ მის ოჯახთან, თბილისში მომიწია მოგვიანებით, — სატელევიზიო ნეკროლოგის მომზადება, მაინცდამაინც, მე დამავალა ხელმძღვანელობამ.

...ახლა კელასურის სასაფლაოსკენ მიმავალი გზის აღმართს მივუყვებოდით მე და ბაგრატ ბიძი. იქ ჩემი დიდებული მასწავლებლის ამბროსი ცხადაიას საფლავი მეგულებოდა და, რახან, ამ „უგზოობის“ ჟამს ღმერთმა მარგუნა ასეთი საშუალება, კიდევ ერთხელ მინდოდა პატივი მიმეგო მისი ხსოვნისათვის.

ო, რამხელა გამხდარიყო კელასურის სასაფლაო! კვირა დღე იყო და ძაძით მოსილი დედები, მამები, დები, ძმები, მეუღლეები, უბრალოდ მეგობრები და ნაცნობ-უცნობები მდუმარებით იდგნენ საფლავებთან და სიჩუმე სუფევდა ირგვლივ. თეთრი, შავი და ნაცრისფერი ქვის ლოდებიდან ზოგან ორ-ორად, ზოგან სამ-სამად იმზირებოდნენ ჭაბუკთა სახეები. ზოგს სამხედრო ფორმა ეცვა, ზოგს არა, მაგრამ დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები ამხელდნენ ყველაფერს... ერთ-ერთ სტელაზე ახალდაქორწინებულები გამოესახა ქვის მთელს.

...რუსული ტელევიზია აჩვენებდა იმ წლებში — ფრონტის ხაზიდან ორდღიანი შვებულებით გამოდიოდნენ აფხაზი ბიჭები და სასწრაფოდ ქორწინდებოდნენ მანამდე ნაცნობ თუ უცნობ ქალწულებზე, ვითომ რა და, გვხოცავენ და ერის გადარჩენისათვის ვაკეთებთო ამას... ათიათასობით აყრილი და დახოცილი ქართველები კი, თითქოს, არ არსებობდნენ!.. „ობიექტური“ რუსული სააგიტაციო მანქანა აკეთებდა თავის „შავ საქმეს“. სამწუხაროდ, საქართველოს მასმედიამ ვერაფერი შესთავაზა საპირისპირო მსოფლიო ტელემაყურებლებსა და მკითხველებს. მაშინ კი, როდესაც ლენინგრადის ტელეჟურნალისტებს, როგორღაც, ხელი შევუწყვე და ცეცხლწაკიდებულ აფხაზეთში და საქართველოში რეპორტაჟი მოვამზადებინე, „პოლიტიკურ ბეცობაში“ დამდეს ბრალი! უგუნურთათვის საკუთარი უგუნურობა იყო „ჭეშმარიტება“ მხოლოდ... მერე რა, რომ ძმები ვხოცავდით ერთმანეთს? მერე რა, რომ აფხაზეთს, თბილისში და სამეგრელოში დაღვრილი სისხლი უძღვოდა წინ?!.

...საფლავთან ორნი იდგნენ. ერთი დაბალი და ჯმუხი, მეორე ბრგე და მაღალი. მას, ბაგრატ ბიძის მსგავსად, გვერდზე შეკრული შავი ახალუხი ეცვა და ნიავს რომ არ დაებერა, საფარს უფარებდა ანთებულ სანთელს.

— ...ქორწილის მეორე დღეს ისევ ფრონტზე წავიდა... კვირისთავზე პატარძალმა ჩააკითხა, მოვინახულებო, უთქვამს... ორივე იქ დაიღუპა... ეს ძმაა იმათი... ძმისა და რძლის დაღუპვით გაგიჟებულმა, ოცდაათამდე ვიღაცები ჩამოიყვანა საიდანღაც და ამბობენ, გული მოიოხაო... — თქვა ბაგრატ ბიძიმ, — მივუსამძიმროთ, აუცილებლად... სხვაგვარად არ გამოვა... სამძიმარზეც ვერ ჩამოვედით მაშინ... კარგი კაცი იყო მამამისი, საწყალი... ჯვარშიც ვართ ნამყოფი ერთად... ეჰ, ბაბაგე!!..

ლამის იყო და, საფლავის ქვას დაადო თავი „მაღალმა“ და მადლი მოახსენა ბაგრატ ბიძის, სამძიმრისათვის.

„დაბალი“ ჩუმად იდგა და კუშტად გვათვალიერებდა მოსულებს.

— თქვენი სტუმარია, ალბათ, ბაგრატ ბიძი, ეს კაცი... ჩვენებურს არ ჰგავს... — ხმაში ფოლადი შეეპარა „მაღალსაც“.

— ჩვენებურია, ბაბა, ჩვენებური... თბილისიდანაა ჩამოსული!.. — სხვაგან არსად გაუმხელია ბაგრატ ბიძის ჩემი ვინაობა, — სტუმარი კი არა, მასპინძელია ჩვენსავით, ჯვარიდანაა, ბაბა, ჩემი სისხლი და ხორცია... ერთი ძუძუ გვაქვს ნაწოვი მე და ამის აღმზრდელ ბიძას...

„მაღალმა“ მარჯვენა გამომიწოდა.

— მე, რეჯები ვარ, ანქვაბი... ასე არგამად დიდი ხანია, ენგურსგაღმელი კაცი არ მინახავს აქეთ... კეთილი იყოს თქვენი ფეხი აფხაზეთში...

„დაბალმა“ უსალმოდ დატოვა სასაფლაოს კიდე, მერე განახავო მიაძახა რეჯებს და იქვე, შორიახლოს მდგარი, საკმაოდ შენჯღრეული „ვილისი“ თავქვე დააგორა.

მერე, ბაგრატ ბიძი, რეჯები და მე დიდხანს დავეძებდით ჩემი მასწავლებლის საფლავს კელასურის ერთი-ათად გაფართოებულ სასაფლაოზე, მაგრამ ეკალბარდებშემოხვეული ძველი საფლავების ქვების სიმრავლეში ვერსად ვიპოვეთ იგი.

ამასობაში მზის დისკო ნახევრად ჩაიძირა ზღვის მუქ-ლურჯ სივრცეში და მხოლოდ ოქროსფერ სხივთა ბილიკი იმედივით აერთებდა ნაპირთან.

— ბაგრატ ბიძი, სტუმარი ღვთისააო, ნათქვამია... მართალია, შეწუხდებით ცოტას, მაგრამ... ღამე გაითევა ჩვენს სახლში! — აფხაზური პეწითა და რიდით, მიგვიპატიჟა რეჯებმა ოჯახში.

...ოდის სასტუმრო ოთახში გაწყობილ სუფრასთან დილამდე ვისხედით ბაგრატ ბიძი, რეჯები და მე. კედლიდან ის ახალდაქორწინებულები დაგვყურებდნენ, კელასურის საფლავის ქვაზე მოსაგონარ ფოტოდ რომ ქცეულიყვნენ. ფეხზე წამომდგრებმა უსიტყვოდ დავლიეთ მათი სახელის სადღეგრძელო. მეტი არაფერი უთქვამს ვინმეს მათზე, არც მე მიკითხავს მათზე რამე. ჩვენს ირგვლივ ისედაც თავისუფლად დაიარებოდა დიდი მწუხარება.

— არზაკონისა რა ისმის, ბაგრატ ბიძი?.. — ერთადერთ ვაჟიშვილზე შეაპარა კითხვა გამთენიის ჟამს რეჯებმა ბაგრატ ბიძის.

— არაფერი!.. — თქვა ბაგრატ ბიძიმ და „ოჯალეშით“ სავსე ჭიქისთვის კარგახანს არ მოუცილებია გაოგნებული მზერა.

— მათ სახელს გაუმარჯოს, ბაგრატ ბიძი!.. — კვლავ შემოგვაპარა რეჯებმა შესანდობარი და ფეხზე წამოვდექით, რადგან ასე იციან სამეგრელოში და ასე იციან აფხაზეთში.

...და დამდგარიყო ჟამი, როდესაც კაეშანი უნდა გადმოეღვარა ბაგრატ ბიძის:

... „გრადმა“ დილაუთენია დაანგრია ბაგრატ ბიძის ოდა და ცეცხლმა შთანთქა ცოტა ხანში. არზაკონის უმშვენიერესი მეუღლე და ბაგრატ ბიძი გარუჯულები ეყარნენ ეზოში. ცაბუსა და დესპინე ბიცოლას ნეშტიც კი ვერ იპოვეს ვერსად... არზაკონი ომის პირველი დღიდანვე იყო წასული ოჯახიდან და დღემდე არაფერი ისმოდა მისგანაც...

— რაღა ეშმაკმა გადამარჩინა მეც... — ამოიკვნესა ბაგრატ ბიძიმ და ნახევრად ჩახსნილი ახალუხის საკინძეებს მიღმა მხოლოდ ახლა შევამჩნიე გაგანია ალის ნაოხრალი კანი. ამიტომაც აუცრემლდა თვალები ბაგრატ ბიძის, იქ, ოხაჩქუეს კალთებზე, ალბათ, დესპინე ბიცოლას ან ცაბუს შემწვარი იქნება ისრიმში ამოვლებული ვარია-მეთქი, რომ ვუთხარი... და ახლაც ჩუმად უცრემლოდ ატირდა რეჯებ ანქვაბის ოჯახში სამი მამაკაცი...

— ...რა მოხდა? ვინ ისროლა, ბაგრატ ბიძი?.. საიდან ისროლეს?.. — მომეცა ჟამი და ძლივს ამოვთქვი ამდენ ხანს დაგუბებული კითხვა.

— ომმა ისროლა, ბაბა! ომმა!..

სიმწარეგამოვლილი კაცის ნათქვამი იყო ეს სიტყვები და სხვანაირად არც შეეძლო ეთქვა მას, — არც ერთი მხარე ემეტებოდა საუგოდ, რადგან საკუთარი სულისა და ხორცის ნაწილად მიაჩნდა ერთიცა და მეორეც, ერთნაირად საწუხარი ჰქონდა ერთიცა და მეორეც! და მე მივუხვდი ბაგრატ ბიძის: — დროა, თავდახრილები წარვსდგეთ ერთმანეთის წინაშე და ერთმანეთს მოვუოხოთ წყლულები!

ᲖᲐᲣᲠ ᲤᲘᲤᲘᲐ.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ)

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №179-181, 182, 183

◎ არჩევნები

ნდობის მანდატი – კიდევ ოთხი წლით

სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ ფედერაციებში საანგარიშო-საარჩევნო ყრილობები იმართება, სადაც განვლილი ოთხი წლის შედეგებს აჯამებენ და ფედერაციის მესვეურთა ახალ შემადგენლობებს ირჩევენ. გასულ უქმეებზე სამმა ფედერაციამ შეაფასა საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა და საგულისხმოა, რომ ყოფილ პრეზიდენტებს კიდევ ოთხი წლით გაუგრძელეს ნდობის მანდატი.

ხელბურთი

მას შემდეგ, რაც ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას ზურაბ კაკაბაძე ჩაუდგა სათავეში, ამ ორგანიზაციის საქმიანობა საგრძნობლად გამოცოცხლდა – რეგულარულად იმართება არა მარტო შიდა შეჯიბრებები, არამედ მნიშვნელოვანი ევროპული ტურნირები. ასე, მაგალითად, გაისად ბათუმში ახალგაზრდა ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ავტორიტეტი გაიზარდა. ყველაფერი ეს გაითვალისწინეს დელეგატებმა ხელბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე, რომელსაც სხვადასხვა კუთხის 26 წარმომადგენელი დაესწრო. პრეზიდენ-

ტობაზე ორ კანდიდატს უნდა ეყარა კენჭი – ზურაბ კაკაბაძესა და ბათუმის სახელბურთო კლუბის მთავარ მწვრთნელ მამუკა მჟავანაძეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო. საქმე ისაა, რომ 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც სპორტული ფედერაციის პრეზიდენტს უმაღლესი განათლება მოეთხოვება. მოქმედმა პრეზიდენტმა წარმოადგინა შესაბამისი დიპლომი, მჟავანაძემ კი – მხოლოდ ასლი, რომელიც, ფედერაციის იურისტის განმარტებით, ოფიციალურ დოკუმენტად ვერ გამოდგებოდა. 22-მა დელეგატმა (ორის წინააღმდეგ) მხარი ზურაბ კაკაბაძეს დაუჭირა და იგი ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას 2016-2020 წლებშიც უხელმძღვანელებს. ყრილობამ ვიცე-პრეზიდენტებად იმედო ფხაკაძე, ვახტანგ მეიფარიანი და ელიზბარ არსენაშვილი, გენერალურ მდივნად ქეთევან კობერიძე, პრეზიდიუმის წევრებად ჯემალ ძაგანია, თამაზ თევზაძე, ზურაბ კეკელიძე, გიორგი კარტოზია და ლევან სალუქვაძე აირჩია.

ძიუდო

სასტუმრო „ბილტმორში“ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა. კიმონოიანთა მესვეურთა გადაწყვეტილებით, 30-კაციანი ფორუმი მასმედიისთვის დახურულ კარს მიღმა ჩატარდა. საინტერესოა, რა ჰქონდათ ასეთი საიდუმლო, რადგან მთავარი საკითხი არჩევნები იყო და პრეზიდენტობის ერთი კანდიდატი ჰყავდათ - დავით ქევხიშვილი. დელეგატებს ღია კენჭისყრით მისთვის ერთხმად დაუჭერიათ მხარი. ვიცე-პრეზიდენტებად დავით ხახალეიშვილი, ზაზა გულბიანი, ზაქარია კევლიშვილი და ცეზარ ჩოჩელი, გენერალურ მდივნად კი გიორგი ათაბეგაშვილი აირჩიეს.

მშვილდოსნობა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ჩატარდა მშვილდოსნობის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. მოქმედმა პრეზიდენტმა ხათუნა ნარიმანიძემ განვლილ წლებში გაწეული საქმიანობა შეაფასა და მომავალ გეგმებზე ილაპარაკა. იგი პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იყო და 13-ვე დელეგატმა ერთხმად აირჩია ფედერაციის ხელმძღვანელად კიდევ ოთხი წლით. პირველი ვიცე-პრეზიდენტი იქნება ლაშა მაჩაიძე, ვიცე-პრეზიდენტები – არტემ სანიშვილი და ბადრი ვარშანიძე, ხოლო გენერალურ მდივნად დავით ლეკვეიშვილი დარჩა.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

განახლებული რეიტინგით

ფიდემ წინა თვის შედეგების გათვალისწინებით საუკეთესო მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალებს უწინდებურად ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (2649) უდგას სათავეში. მეორე ადგილზეა მისი თანამემამულე ცზიუ ვენძიუნი (2580). ათეულში შემდეგ მოდიან ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2561), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2557), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2538), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2537), ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2535), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2532), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2530), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2528). ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია: 13. ნანა ძაგნიძე (2507), 18. ნინო ბაციაშვილი (2480), 26. ლელა ჯავახიშვილი (2460), 48. ბელა ხოტენაშვილი (2426), 54. ნინო ხურციძე (2415), 67. სალომე მელია (2393), 86. მერი არაბიძე (2397), 97. სოფიკო გურამიშვილი (2370), 99. სოფიკო ხუხაშვილი (2368).

ვაჟთა ასეულს 2853 პუნქტით მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) ლიდერობს. პირველ ათეულში არიან აგრეთვე ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2817), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2813), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2811), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2795), ვესლი სო (აშშ, 2794), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2787), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი 2776), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2772) და დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2764). ბაადურ ჯობავას (2698) 44-ე საფეხური უკავია.

გივი გაგუა

◎ უკვდავება

დუდუ დადიანის მემორიალი ხვალ დაიწყება

ტრაგიკულად დაღუპული საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტნისა და კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის დუდუ დადიანის მემორიალი წელს მე-14-ედ გაიმართება. ტურნირი ხვალ დაიწყება, ხოლო ფინალური მატჩი 9 ოქტომბერს ჩატარდება.

შეხვედრები თბილისის ახალ სპორტის სასახლეში მოეწყობა (უნივერსიტეტის ქუჩა) და მასში მონაწილეობას სუპერლიგის 6 გუნდი მიიღებს. მემორიალში არ გამოვლენ „ბათუმი“ და „კაქტუსი“, ხოლო დანარჩენები ჯგუფებში შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

„ა“ ჯგუფი:„ქუთაისი“, „სოხუმი“, „რუსთავი“.

„ბ“ ჯგუფი“: „დინამო“, „მგზავრები“, „ოლიმპი“.

ჯგუფებში მატჩები ერთ წრედ ჩატარდება, რის შემდეგაც პირველ ადგილზე გასულები ერთმანეთს ფინალურ შეხვედრაში დაუპირისპირდებიან.

აქამდე გამართული დუდუ დადიანის 13 მემორიალიდან ყველაზე მეტჯერ ტიტული რუსთაველებს მოუგიათ. 2006-2010 წლებში, როცა „ენერჯი-ინვესტის“ სახელით გამოდიოდნენ, ქვემოქართლელებმა დადიანის მემორიალი ზედიზედ 5-ჯერ მოიგეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ – იქითური

ეროვნული ჩემპიონატი. „დინამო“ – „ჩიხურა“ 1:2, „სამტრედია“ – „ბათუმი“ 1:1, „ცხინვალი“ – „გურია“ 2:1, „საბურთალო“ – „სიონი“ 1:1, „შუქურა“ – „ტორპედო“ 2:1, „კოლხეთი“ – „ზუგდიდი“ 2:0.

* * *

ინგლისი. „ტოტენჰემი“ – „სიტი“ 2:0, „სუონსი“ – „ლივერპული“ 1:2, „მანჩესტერი“ – „სტოკი“ 1:1, „ჰალი“ – „ჩელსი“ 0:2, „ბარნლი“ – „არსენალი“ 0:1.

გერმანია. „ბაიერნი“ – „კიოლნი“ 1:1, „ლევერკუზენი“ – „დორტმუნდი“ 2:0, „შალკე“ – „გლადბახი“ 4:0, „ჰერტა“ – „ჰამბურგი“ 2:0.

იტალია. „ემპოლი“ – „იუვენტუსი“ 0:3, „რომა“ – „ინტერი“ 2:1, „უდინეზე“ – „ლაციო“ 0:2, „მილანი“ – „სასუოლო“ 4:3, „ტორინო“ – „ფიორენტინა“ 2:1.

ესპანეთი. „რეალი“ – „ეიბარი“ 1:1, „სელტა“ – „ბარსელონა“ 4:3, „ვალენსია“

– „ატლეტიკო“ 0:2, „სევილია“ – „ალავესი“ 2:1.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ – „ბორდო“ 2:0, „მეცი“ – „მონაკო“ 0:7, „ლიონი“ – „სენტ ეტიენი“ 2:0, „ანჟერი“ – „მარსელი“ 1:1.

გიორგი შოთაძე

◎ ავტოსპორტი

„რედ ბულის“ მალაიზიური დუბლი

მალაიზიის დიდი პრიზის საკვალიფიკაციო რბოლაში ლუის ჰამილტონის დიდი უპირატესობით გამარჯვების შემდეგ ვერავინ იფიქრებდა, თუ კვარცხლბეკზე პირველ ორ საფეხურს რომელიმე სხვა გუნდის პილოტები დაიკავებდნენ. მაგრამ სწორედ ასე მოხდა, რადგან ჯერ ნიკო როსბერგს მოუვიდა სტარტზე ინციდენტი, რომლის გამოც პელოტონის კუდში ამოჰყო თავი, რბოლის მიწურულს კი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის მანქანაზე დალია ძრავმა სული.

გამარჯვება დანიელ რიკიარდომ მოიპოვა, რომელმაც 39-ე წრეზე თანაგუნდელ მაქს ფერსტაპენისგან ისეთ პრესინგს გაუძლო, მარტო ამ მომენტის გამო იმსახურებდა გამარჯვებას. და გაიმარჯვა კიდეც. არადა, ჰოლანდიელმა პირველი შეტევის შემდეგ შეძლო გასწრება და თითქოს, ამის შემდეგ, რიკიარდოს უარესი ტრაექტორია ეკავა. მაგრამ ავსტრალიელმა მომდევნო მოსახვევები თანაგუნდელთან გვერდიგვერდ გაიარა და პირველივე ხელსაყრელ მომენტში დაწინაურდა. ამის შემდეგ მის ლიდერობას საფრთხე აღარც შექმნია.

რაც შეეხება როსბერგს, მან მესამე ადგილამდე შეძლო ამოსვლა და მიუხედავად იმისა, რომ კიმი რაიკონენთან მომხდარ შეჯახებაში სტიუარდებმა ის დაადანაშაულეს და 10 წამით დასაჯეს, მაინც მოახერხა „ფერარის“ პილოტის უხიფათო დისტანციაზე ჩამოტოვება. სხვათა შორის, მათი შეჯახებაც იმავე 39-ე წრეზე მოხდა, რომელზეც რიკიარდოს ფერსტაპენთან მძაფრი პაექრობა ჰქონდა. როსბერგმა რაიკონენს პირველ მოსახვევში შეუტია და მეორე მოსახვევში გაასწრო, გასწრებისას კი ფინელის ბოლიდს „მხარი გაჰკრა“, რაც მსაჯებმა შეგნებულ ქმედებად ჩაუთვალეს.

გამარჯვებულმა კვარცხლბეკზე ტრადიციული რიტუალი შეასრულა – საკუთარი ფეხსაცმლიდან შამპანური დალია. ესეც არ იკმარა და „სასმისი“ ფერსტაპენს, როსბერგს და „რედ ბულის“ შეფ კრისტიან ჰორნერსაც დაალევინა. ამათ აშკარად არ სურდათ ამის გაკეთება, მაგრამ რას იზამდნენ - ავსტრალიელი ამ ზეიმის მთავარი გმირი იყო. „ლხინის“ ბოლოს ჰორნერმა ფეხსაცმელი მაყურებელში მოისროლა, ემანდ გამარჯვებულს მეორე სადღეგრძელოს საღერღელი არ აეშალოსო. ალბათ, სასმელი გამოელიათ, თორემ მეორე ფეხსაცმელი ხომ ზედ ეცვა...

კოგა კოგახიძე

სანთელი

სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერება“ და მისდამი დაქვემდებარებული კ. ქუთათელაძის სახ. საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებითა და დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ორგანიზაციის გენერალური დირექტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ღირსების ორდენის კავალერი, დარგისა და ორგანიზაციის ამაგდარი ხელმძღვანელი, ბატონი

დავით (ჯემალ) გაგუნაშვილი

ბატონმა დავითმა 1952 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა 43 საშუალო სკოლა, ხოლო 1957 წელს წითელი დიპლომით — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საპროექტო ბიუროში ინჟინრად, შემდეგ კი განყოფილების გამგედ. 1963 წელს გადაჰყავთ საქართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორად, 1970 წლიდან კი — საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ინსტრუქტორად. 1973 წლიდან დავით გაგუნაშვილი საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილეა. 1976 წლიდან კი სამეცნიერო სამუშაოზეა — ჯერ საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, 1979 წლიდან — გარდაცვალებამდე სს „საშენმეცნიერების“ გენერალური დირექტორი.

ბატონი დავითი იყო მრავალი სამეცნიერო შრომისა და გამოგონების ავტორი მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში, ამავე დარგის ბევრი ტექნიკური სიახლის დანერგვისა და განხორციელების ინიციატორი და ორგანიზატორი.

მისი თაოსნობით დაარსდა ჟურნალი „საშენი მასალები და ნაკეთობები“, რომლის უცვლელი მთავარი რედაქტორი, ასევე რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი და თავმჯდომარე იყო.

ბატონი დავითი გამოირჩეოდა დიდბუნოვნებით მეგობრების, ნათესავების, თანამშრომლებისა და თანამოქალაქეების მიმართ, იყო კაცთმოყვარე და სიყვარულით აღსავსე პიროვნება, შესანიშნავი ოჯახის თავკაცი, ერთგული, თბილი და მოსიყვრულე მეუღლე, მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა. ამ თვისებებმა განაპირობა მისი პოპულარობა, მისდამი დიდი პატივისცემა, სიყვარული და მოკრძალება.

სამწუხაროა ასეთი პიროვნების ამ ცხოვრებიდან წასვლა.

გემშვიდობებით, ბატონო დავით!

მსუბუქი იყოს ქართული მიწა თქვენს სამარეზე.

სს „საქსაშენმეცნიერების“ კოლექტივი.

შვილები მაია, გია, შვილიშვილები ნინო, ელენე, ლიზა გაგუნაშვილები, ირაკლი, ნიკუშა გიგაურები, სიძე ზურაბ გიგაური, ძმისწულები ნანა, ზურაბ, სოსო გაგუნაშვილები, რძლები მაკა ჯავახიშვილი, ხათუნა გამცემლიძე, თიკა მახარაშვილი, ცოლისდა დალი გიგინეიშვილი, მძახლები დოდო, ჯემალ ჯავახიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით (ჯემალ) გაგუნაშვილი

პანაშვიდი 4, 5 X, 17 სთ. მისამართი: ჭავჭავაძის პრ. 17 ბ. გამოსვენება 6 X, 14 სთ. ვაკის სამების ეკლესიიდან.

ღრმა მწუხარებითა და უდიდესი გულისტკივილით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, კეთილშობილებით გამორჩეული მეგობარი, არაჩვეულებრივი ოჯახის მამა

ჯემალ (დავით) გაგუნაშვილი

თანაგრძნობას ვუცხადებთ მის შვილებსა და შვილიშვილებს
ციალა, ნატა, თემურ, ირაკლი ანდრიაძეები.

სად ცხოვრობს ყველაზე მეტი მორწმუნე?

ქვეყნებში, სადაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, ადამიანები მეტი რელიგიურობით გამოირჩევიან

რა არის რწმენა? იმისთვის, რათა თავს მორწმუნე ვუწოდოთ, ფორმალურად მონათვლა საკმარისი არ არის. რელიგიურობა არც დღესასწაულებზე ეკლესიაში წასვლას გულისხმობს მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებაში ასეა მიღებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს პირადი და ინდივიდუალური საკითხია. სად ცხოვრობენ ყველაზე მორწმუნე ადამიანები და რა კორელაცია არსებობს იმ ადამიანებსა და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას შორის, რომლებიც თავს რელიგიურს უწოდებენ?

Pew Research Center-ის კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე მეტი ადამიანი, რომელიც რელიგიას ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად თვლის, ეთიოპიაშია — 98%. მოსახლეობის ნახევარი ქრისტიანია, მესამედი — მუსულმანი, დანარჩენები კი უძველეს აფრიკულ, ტრადიციულ რწმენას ინარჩუნებენ.



კვლევის მიხედვით, გამოიკვეთა ნიშანდობლივი ტენდენცია — ქვეყნებში, სადაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, ადამიანები მეტი რელიგიურობით გამოირჩევიან. თუმცა აღნიშნული მიდგომა ყველა ქვეყანაზე არ ვრცელდება. მაგალითად, აშშ-ში მორწმუნეთა რაოდენობა საკმაოდ მასშტაბურია, თუმცა ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. შესაბამისად, აღნიშნულ ორ ფაქტორს შორის კორელაცია უნივერსალური არ არის. ასევე, თუკი რელიგიურობის მიხედვით უკრაინა გერმანიის გვერდით დგას, ეს აპრიორი არ ნიშნავს, რომ ქვეყანა გამდიდრდება.

კვლევის ავტორების აზრით, 2050 წლისთვის მუსულმანთა რაოდენობა ქრისტიანების რაოდენობას გაუთანაბრდება. აღნიშნულის მიზეზი არა მუსულმანურ რელიგიაზე გადასვლა, არამედ მოსახლეობის მატების სწრაფი ტემპია, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, სადაც ისლამია გავრცელებული.

რაც შეეხებათ ათეისტებს — მათი რაოდენობა ამ ეტაპზე საკმაოდ ცოტაა და სავარაუდოა, რომ მომავალში მათი რაოდენობის ზრდა საკმაოდ ნელი ტემპით წარიმართება.

ხსოვნა

პავლე კოხრეიძის გახსენება

4 ოქტომბერს ორმოცი დღე შესრულდა სხვადასხვა ბეჭდურ ორგანოში მოღვაწე, მათ შორის, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორისა და „თბილისის“ ერთ-ერთი დამაარსებლის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ღირსების ორდენოსანის, მართალი და კეთილშობილი პიროვნების, მრავალი კარგი საქმის წამომწყების **პავლე კოხრეიძის** გარდაცვალებიდან.

აქ გვინდა ბატონ პავლეს საქმიანობის ერთი მხარე გავიხსენოთ.

1983-2006 წლებში პავლე კოხრეიძე საქართველოს ეროვნულ არქივში მოღვაწეობდა: საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საგამომცემლო განყოფილების უფროსი, კოლეგიის წევრი, „საისტორიო მოამბის“ მრავალტომეულისა და „სამეცნიერო-საორგანიზაციო ბიულეტენის“ შემდგენელ-რედაქტორი იყო. მისი ინიციატივით განახლდა „საისტორიო მოამბის“ რედკოლეგია, რომელშიც შევიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თვალსაჩინო წარმომადგენლები, გაფართოვდა ავტორთა წრე, უფრო მრავალფეროვანი გახდა თემატიკა, დაიბეჭდა არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც გვეხმარებიან ისტორიული პროცესის ახლებურ გაგებაში, მის რეკონსტრუქციაში. გააქართულა ორენოვანი „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი“, რითაც წვლილი შეიტანა საარქივო საქმის გაეროვნულებაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პავლე კოხრეიძის დამოკიდებულება კოლეგებისა და წინამორბედთა ღვაწლისადმი. მისი თაოსნობით „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი“ აქვეყნებდა საარქივო საქმის ღვაწლმოსილ მუშაკთა მრგვალი თარიღებისადმი მიძღვნილ მასალას. ამ მიზნით, გამოჩენილი ისტორიკოსის სარგის კაკაბაძის 100 წლისთავთან დაკავშირებით ბატონმა პავლემ საგანგებო წერილი დაუკვეთა პროფ. შოთა ბადრიძეს, რომლითაც ეროვნულმა არქივმა პირველად მიაგო პატივი მის ერთ-ერთ დიდ მოამაგეს და უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, მეცნიერსა და მოღვაწეს.

საქართველოს ეროვნულ არქივში მოღვაწეობის პერიოდში პავლე კოხრეიძემ მოამზადა და თავისი წინასიტყვაობით დაბეჭდა ფრანგი მოგზაურის მარკიზ ასტოლფ დე კიუსტინის მოგონებები ნიკოლოზ I-ის რუსეთზე, გამოსაცემი დარჩა იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებები“.

ახლა, გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შემდეგ, უფალს შევთხოვთ მიიბაროს და სასუფეველში ნათელი დაუმკვიდროს თავის საქმის პროფესიონალს, გულისხმიერ, სიკეთით სავსე ადამიანს პავლე კოხრეიძეს, მართალთა შორის მოვიხსენიოთ მისი სახელი.

საქართველოს ეროვნული არქივი

სანთელი

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 82 წლის ასაკში გარდაიცვალა სამხედრო ძალების ვეტერანი, ვეტერანთა ვაკის რაიონული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, გადამდგარი პოლკოვნიკი

არნოლდ ვიქტორის ძე კოპლატაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცოლისძმა ანზორ ბურჯანაძე, თინა(სუსანა), ნინო ბურჯანაძეები, ბადრი, ანზორ, რევაზ ბიწაძეები იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ სიძე

ჟორა ლარცულიანი.

პანაშვიდი : 4,5 X, გამოსვენება: 6 X, 14 .00. სთ.
ქ. ბოლნისი. ბოლნელის ქ. №5.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების განყოფილების წევრის

ნინო ოჟროსცვარიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აზერბაიჯანის მოქალაქე წითელ ხიდთან დააკავეს

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1985 წელს დაბადებული ა.მ. სასაზღვრო გამტარი პუნქტი „წითელი ხიდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის საბარგულის იატაკის ქვეშ მოწყობილი სპეციალური სამალავიდან და საბარგულში დამონტაჟებული აირის ბალონიდან 8400 კაფსულა ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, 2 კილოგრამ და 520 გრამ ფსიქოტროპული ნივთიერება პრეგაბალინს შეიცავს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული აღნიშნული ფსიქოტროპული ნივთიერების ტრანზიტული გზით, საქართველოს გავლით, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გატანას აპირებდა.

საახალწლოდ ბაზარზე პირველი ქართული ვისკი „JIMSHER“ გამოჩნდება

გუშინ რესტორან „ლოლიტა-ში“ (თ. ჭოველიძის 3) პირველი ქართული ვისკის „JIMSHER“ პრეზენტაცია გაიმართება.

ახალი ქართული პროდუქტის შექმნა ჯიმი ჩხაიძეს ეკუთვნის.

ვისკი „JIMSHER“ არის ტრადიციული ვისკის ტექნოლოგიით და ქართული მარცვლეულისგან დამზადებული სასმელი.

პრეზენტაციაზე სამი სახეობის ვისკი იქნება წარმოდგენილი: ვისკი — ტრადიციული საფერავის ნამყოფი კასრში; ვისკი — წინანდლის კასრში დავარგებული ნახადი და ქართული ბრენდის კასრში ნამყოფი ვისკი.

„საუკეთესო შოტლანდიური ტრადიციების მიხედვით დამზადებული ვისკის განმეორებითი დავარგება — ხდება წინანდლის, საფერავისა და ქართული ბრენდის მუხის კასრებში, რომლებშიც მანამდე, სწორედ აღნიშნული სახეობის სასმელების დავარგება ხდებოდა. შედეგად მივიღეთ 3 სახეობის ვისკი, რომლებიც ვისკის შესახებ სრულიად ახალ ისტორიას — ქართული აქცენტებით გვიყვება და ეს აქცენტები იმდენად უნიკალურია, რომ ვფიქრობ, სრულიად ჩრდილავს მის ფუნდამენტს და წინა პლანზე გადმოდის“, — აცხადებს ჯიმშერ ჩხაიძე.

სასმელის ბოთლისა და ეტიკეტის დიზაინი ქართველმა დიზაინერმა ზვიად ციკოლიამ შექმნა. ვისკი საქართველოს გარდა საექსპორტო ბაზარზეც გავა, რაც საშუალებას იძლევა მსოფლიოსთვის ქართული კულტურის გაზიარების.

ქუთაისს ოცდაოთხსაათიანი წყალმომარაგება ექნება

ქუთაისის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის პირველი ფაზის სამუშაოების დასრულების შედეგად, ქალაქის 24-საათიან წყალმომარაგებაზე ეტაპობრივად გადასვლა დაიწყო.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიორგი კობერიძე, ქუთაისის მერთან შოთა მურღულიასთან ერთად, იმ ქუჩების მოსახლეობას შეხვდა, რომლებიც უწყვეტი წყალმომარაგებით უკვე სარგებლობენ და პირადად გაეცნო 24-საათიან წყალმომარაგებაზე გადასვლის პროცესს.

ამასთანავე, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ქ. ქუთაისში წყალმომარაგების ქსელის მშენებლობის მეორე ფაზას ახორციელებს, რომლის დასრულების შედეგად, ქალაქი სრულად, 24-საათიანი, უწყვეტი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

◎ ანეკდოტები

კამათი უკრაინის ტერიტორიის თავზე ჩამოგდებული მალაიზიური სამგზავრო თვითმფრინავის თაობაზე. გამოდის რუსეთის გენშტაბის წარმომადგენელი:

— კატეგორიულად უარვყოფთ იმის მცირედ ალბათობასაც კი, რომ ის „ბოინგი“ ჩვენი რაკეტითაა ჩამოგდებული, რადგან ეს პრინციპულად შეუძლებელია.

— მაინც რატომ?

— იმიტომ რომ ამ სარაკეტო კომპლექსის გამოყენების ინსტრუქციის 23-ე გვერდის მე-2 აბზაცში გარკვევით წერია: „სამოქალაქო თვითმფრინავებს არ ესროლოთ“.

* * *

სახლში, მობილური ტელეფონის დასატენი რომ არ დამეკარგა, ის გამოსაჩენ ადგილზე დავდე. ჰოდა, უკვე მესამე დღეა, დავეძებ სადაა ეგ დასაწვავი „გამოსაჩენი ადგილი“.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით.

ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

საქმე არა სექსში, არამედ ფულშია

ამერიკელმა სოციოლოგებმა ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დასკვნა გამოიტანეს, რომ რაც უფრო დიდი შემოსავალი აქვს საქმის ქალს, მით უფრო მეტია მისთვის ქმრის ღალატის ალბათობა.

მეცნიერებმა 2750 წყვილის მონაცემები შეისწავლეს, რომლებშიც მეუღლეთა ასაკი 18-32 წლის ფარგლებში იყო. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფინანსურად ცოლებზე დამოკიდებული მამაკაცები მათ შემთხვევათა 15 პროცენტში ღალატობენ. სხვა ქალებთან სექსი მათ თვითდამკვიდრებაში ეხმარება, მიაჩნიათ მეცნიერებს.

ქალებში კი თავს იჩენს საპირისპირო ტენდენცია: ცოლები, რომლებსაც საოჯახო შემოსავალში მეტი წილი შეაქვთ, ღალატისკენ ნაკლებად არიან მიდრეკილი.

უფრო იშვიათად ცოლებს ოჯახში ოდნავ მეტის შემომტანი ქმრები ღალატობენ.

ვადაგასული საკვების გზები

ყოველწლიურად ევროკავშირის ქვეყნებში სანაგვეზე დაახლოებით 90 მილიონ ტონა კვების პროდუქტს აგდებენ (!!), რაც წარმოებული სურსათის 20 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ყველაფერი ეს იმითაა განპირობებული, რომ ვადაგასული საკვები მაღაზიების დახლებიდან უმალ გასანადგურებლად იგზავნება. აქვე აღვნიშნავთ, რომ რუსეთში ეს მაჩვენებელი 3 პროცენტის ტოლია, ჩვენში კი ამის თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება.

ბოლო წლების მანძილზე ევროპაში ლტოლვილთა ნაკადის უაღრესად მომძლავრებასთან დაკავშირებით ამ საკითხმა სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები დააფიქრა იმაზე, რომ საკვებს მოფრთხილება უნდა. კერძოდ, გერმანიაში გადაწყვიტეს შეფუთვაზე ვარგისიანობის მინიშნების მაგივრად სიახლის მაჩვენებელი ჩიპის ჩასმა. საფრანგეთში გამყიდველებს დაავალეს ვადაგასული საქონლის საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის გადაცემა. დანიაში კი საგანგებო სუპერმარკეტი გახსნეს, სადაც მსგავსი საკვები ნახევარ ფასში იყიდება.

ცნობისმოყვარეობის რეიტინგი

ბრიტანელ მეცნიერთა მტკიცებით, ქალთან შეხვედრისას მამაკაცები მას ჯერ თვალებში უყურებენ, შემდეგ ღიმილს აფასებენ და მხოლდ შემდგეგ მკერდს აკვირდებიან. მერე კი მამაკაცები ქალის თმებსა და წონას აფასებენ, შემდეგ ყურადღებას აქცევენ მის ფეხებსა და ჩაცმულობას. მამაკაცთა „ცნობისმოყვარეობის რეიტინგის“ მერვე ადგილზეა ქალის დუნდულები, მეცხრეზე — სიმაღლე. „ინტერესთა ათეულის“ „ჩამკეტია“ კანის მდგომარეობა.

ქალებში ჩატარებულმა ანალოგიურმა კვლევამ გამოავლინა, რომ ისინიც პირველ რიგში თვალებსა და ღიმილს აფასებენ, რის მერე მამაკაცის სიმაღლისა და თმების ჯერი დგება. ამას მოყვება ჩაცმულობაზე, წონაზე, კანზე, სახის ფორმაზე და დუნდულებზე, ბოლოს კი ცხვირზე დაკვირვება.

უცხო ენების ეშხი



თურმე ახალი ენის სწავლას ისეთივე სიამოვნება მოაქვს, როგორსაც ადამიანი სექსისგან, აზარტული თამაშებისა და გემრიელი საჭმლისგან იღებს.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ამ ტიპის მოღვაწეობის დროს ადამიანებში თავის ტვინის ერთი და იგივე უბანი — სიამოვნების ცენტრი აქტიურდება. მეტიც: უცხო სიტყვების დამახსოვრებისას სასიამოვნო შეგრძნებები იმ ადამიანებსაც წარმოეშვებათ, ვინც თავს ენების შესწავლაში უნიჭოდ მიიჩნევს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3297; ევრო - 2.6037;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0226;
100 რუბლი - 3.6790; თურქული ლირა - 0.7752;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4193;
1000 სომხური დრამი - 4.9150.

ამინდი 4 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე +3,	დღე +26
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +11,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +5,	დღე +28
თბილისი:	ღამე +12,	დღე +24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE